აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№42 (25.170) 1 ნოემბერი, 2024 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 17-22, მთიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 18 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 766 მილიმეტრი. ხვალ ამინდი შენარჩუნდება. მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - თოვა.

ოპოზიციამ საკრებულოს მუშაობას ბოიკოტი გამოუცხადა

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

პოლიტიკური განცხადებებითა და 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შეფასებით დაიწყო დღეს ბათუმის საკრებულოს სხდომა, რომელსაც ამჟერად საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი თავდგირიძე უძღვებოდა. ყოფილი თავმჯდომარე რამაზ ჭინჭარაძე მალე მუშაობას აჭარის უმაღლეს საბჭოში გააგრძელებს

საკრებულოს სხდომას პროტესტის ნიშნად არ ესწრებოდნენ პარტია „ახლების“ წარმომადგენლები. სხდომის დაწყებამდე მათ პარტიულ ოფისში ბრიფინგი გამართეს და განაცხადეს, რომ სხდომის დღის წესრიგს 13 საკითხი, რომელიც K2 კოეფიციენტის გაზრდას ეხება, გვიან დაემატა, რაც მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მამუკა ქობულაძისა და ნოდარ დუმბაძის განცხადებით, ეს არის ვალის დაბრუნება იმ ბიზნესზე, რომელიც ხელისუფლებამ საარჩევნოდ გამოიყენა, „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ დააფინანსა და ამ ფარსში მონაწილეობას არ აპირებენ. ოპონენტების ბრალდებას აბსურდულს უწოდებენ მმართველ გუნდში.

„ქართული ოცნების“ დეპუტატ თენგიზ აფხაზავას განმარტებით, ბიზნესისთვის ვალის დაბრუნების შესახებ ბრალდება უსაფუძვლოა და არც განსახილველი საკითხები დაუმატებიათ ღამით.

- ყველა ნაზარდი K2 კოეფიციენტი არის ე. წ. განაშენიანების დეტალური გეგმის შედეგად მიღებული. ეს არის ქალაქის სტრატეგია და, პრაქტიკულად, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არის ეს ტენდენცია. ყველა განსახილველი საკითხი შემოდის შესაბამისი რეგლამენტით გათვალისწინებული დროის ფარგლებში და საკითხებიც ემატება, ამის ასე განსაზღვრა ძალიან რთულია. ამიღონ წინა საკრებულოს სხდომები და ნახონ, რამდენი ასეთი პროექტია დამტკიცებული, - აცხადებს თენგიზ აფხაზავა.

საკრებულოს დღევანდელ სხდომას ოპოზიციური პარტიებიდან მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ ესწრებოდა. დეპუტატებმა „ქართულ ოცნებას“ კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ მათი არჩევანი არის გზა ევროპისკენ, განცხადებები გაკეთდა არჩევნებთან დაკავშირებითაც.

- როგორ შედგა ეს საკრებულო, ყველას კარგად გვახსოვს, ადამიანის მსხვერპლით. დღემდე არ გამოუძიებიათ საქმე და არც არავინ დასჯილა. ამჟერად, უფრო მეტი დანაშაული ჩაიდინა „ქართულმა ოცნებამ“ და ტოტალურად გააყალბა არჩევნები. ამომრჩევლებზე მეტი ხმები ფიქსირდება მონაცემებში, რაც ძალიან სამარცხვინოა. ჩემი მაჟორიტარობის პერიოდში, ჩემ მიერ წარმოდგენილი, მოსახლეობის არცერთი პრობლემა არ გადაჭრილა დადებითად, ხალხისთვის არაფერი კეთდება, თანამშრომლობა რთულდება და ვფიქრობ, სხდომაზე დასწრებასაც არ აქვს აზრი, - განაცხადა ნაზი ფუტკარაძემ. რეზო ხარაზის განცხადებით კი ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეჩერებულია იქამდე, სანამ საქართველო განაგრძობს ამ ღირებულებებთან დაშორებას. მან მაგალითად აშშ-ის პრეზიდენტისა და სხვა ორგანიზაციების შეფასებები მოიყვანა არჩევნებთან დაკავშირებით.

- როცა საერთაშორისო ორგანიზაციები და ქართველი ხალხი გეუბნება, რომ ეს არჩევნები არ არის სამართლიანი და არ უსმენ, ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ მივდივართ დიქტატურისკენ. ჩვენ გვინდა ევროპაში, გვსურს ნორმალური ცხოვრება და დიქტატურა არ არის ამ ქვეყნის მომავალი, - განაცხადა რეზო ხარაზმა, რის შემდეგაც ოპოზიციის წარმომადგენლებმა პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვეს.

კოლეგების პროტესტი შეაფასა „ხალხის ძალის“ წარმომადგენელმა **ნინო ცხვარაძემ**.

- დამარცხებულების ერთი ნაწილი ვნახეთ ჩვენ დღეს, მოვიდნენ სხდომაზე და ძალიან მწირი შეფასებები გააკეთეს. სხვა დროს უფრო თამამად და ვრცლად ისაუბრებდნენ, მაგრამ ასეა, როცა სათქმელი არ გაქვს. მათ განცხადება განცხადებისთვის გააკეთეს, მოიხადეს „ვალი“, მოვიდნენ, რათა ისევ გააგრძელონ ბოიკოტის რეჟიმში ყოფნა. მინდა მათ კიდევ ერთხელ შევახსენო, რომ ადამიანებს, თავის დროზე, მხარი იმისთვის დაუჭერიათ ამ გუნდისთვის, რომ ბათუმის საკრებულოში მუდმივად ბოიკოტის რეჟიმში ყოფილიყვნენ. სამწუხაროდ, მათ არ აინტერესებთ მოსახლეობის წუხილი და პრობლემები, - განაცხადა ნინო ცხვარაძემ.

კოლეგების პროტესტი შეაფასეს მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა.

- სასურველი იყო, ჩვენი ოპონენტები ყოფილიყვნენ დარბაზში და მათ დასმულ კითხვებზე პასუხები გაგვეცა. ვფიქრობ, საკრებულო არის კოლეგიალური ორგანო და აქ უნდა ვითანამშრომლოთ ქალაქისთვის, ჩვენი მოსახლეობისთვის. გასაგებია პოლიტიკური განცხადებები, მაგრამ ქალაქის საჭიროებების ნაწილში ყველა ერთად უნდა ვიდგეთ, - განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ირაკლი თავდგირიძემ**.

განცხადებების შემდეგ სხდომა ჩვეულ რიტმში გაგრძელდა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 19 საკითხი განიხილეს და დაამტკიცეს.

საკრებულომ ცვლილება შეიტანა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების სამარშრუტო ხაზების სქემებში, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მოსახლეობის მოთხოვნასთან შესაბამისობის მიზნით.

საკრებულომ დაამტკიცა ცვლილება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესში.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმში, დიმიტრი სვიშევსკის ქუჩა №1გ-ში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1831,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.30.10.380) სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა, მისი შემდგომში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ჩიხი №4-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 171,0 კვმ არასაცხოვრებელი ფართის „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში მისი პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გორბი 2020“-ის საკუთრებაში გადაცემის მიზნით იმ პირობით, რომ მისი საპრივატიზებო (საბაზრო) ღირებულება ჩაირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ცვლილება შევიდა „ქალაქ ბათუმში, 26 მაისის ქუჩა №13-ში განხორციელებული ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 09 აგვისტოს №გ-15 განკარგულებაში. აღნიშნული ცვლილებით დაზუსტდა ერთ-ერთი მესაკუთრისათვის გადასაცემი უძრავი ქონების მონაცემები.

მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე დამტკიცდა განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ რამდენიმე განკარგულების პროექტი, მათ შორის:

ქ. ბათუმში, თამარ მეფის I შესახვევი №2-ში, მახინჯაურის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (შპს „აჭარის კურორტები“); ქალაქ ბათუმში, იოსებ ნონეშვილის ქუჩა №1, №1-ის მიმდებარედ, №1ა, №1ზ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (შპს „კომუნა ჰოლდინგი“); ქ. ბათუმში, პ. ბაგრატიონის ქ. №127გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (შპს „ავენიუ ბაი ორბი“); ქალაქ ბათუმში, გრიგოლ ელიავას ქუჩა №17, №19, ზღვისპირის ქუჩა №3ბ, №3 და №3ა - ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (შპს „sqai qonsTraqSeni“, დამტკიცდა კონცეფციაში ცვლილება); ქ. ბათუმში, ადლიის ქ. №53/57-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (შპს „ტემპო აა“, დამტკიცდა კონცეფციაში ცვლილება); ბათუმში, მეზღვაურთა ქუჩა №12; №14; №14ა და №16-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (შპს „ჰორიზონს ჯგუფი ჩაქვი“).

დამტკიცდა მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ რამდენიმე დადგენილების პროექტი, მათ შორის: ქალაქ ბათუმში, დასახლება ადლიაში - ადლიის ქ. №5-ში, ადლიის ქ. №10-ში, ადლიის ქ. №12-ში, ადლიის ქ. №12-ის მიმდებარედ და ადლიის ქ. №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (შპს „ელთ ბილდინგი“); ქალაქ ბათუმში, ანგისის დასახლებაში, ანგისის I შესახვევი - №33ე, №33ვ, №35, №35ა, №35ბ, №35დ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (შპს „ნიუ ანგისა“); ქ. ბათუმში; დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე №05.34.22.731; №05.34.22.732 (შპს „ავენიუ ბაი ორბი“); ქ. ბათუმში, ზღვისპირის ქ. №1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (შპს „ორბი ჯგუფი მილენიუმი“); ასევე ცვლილება შევიდა 2023 წლის 13 თებერვალს ქ. ბათუმის საკრებულოს დადგენილება №3-ით დამტკიცებულ და შპს „გრინკოს“ მიერ ინიცირებულ განაშენიანების დეტალურ გეგმაში.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკაში (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი), რომლის შესაბამისადაც, მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკა (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) და განაშენიანების მართვის რეგლამენტი განახლებული რედაქციით ჩამოყალიბდა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმში, კ. გამსახურდიას ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე - ცნობილი ბათუმელი პედაგოგის გულნარა შანიძის, ხოლო ქ. ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქ. №2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ცნობილი პედაგოგისა და მეცნიერის ნელი დუმბაძის მემორიალური დაფები განთავსდება.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მმართველი პარტიის გამარჯვება, ოპოზიციის ულტიმატუმი და დასავლეთის შეფასებები...

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

დასრულდა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც, საქართველოში პირველად, ელექტრონული წესით ჩატარდა, თუმცა ბრძოლა ქვეყნის სათავეში მოსასვლელად ჯერ კიდევ არ დასრულებულა - ოპოზიციამ არჩევნების შედეგი არ აღიარა და მის განმეორებით ჩატარებას ითხოვს, რაზეც ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ, ახლა კი 26 ოქტომბრის მოვლენებს გადავხედოთ.

26 ოქტომბერი როგორც მმართველმა გუნდმა, ისე ოპოზიციამ გამარჯვების მოლოდინით დაიწყო.

მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა არხის საშუალებით, პირდაპირ ეთერში ვადევნებდით თვალს არჩევნების მიმდინარეობას. იყო ექსცესებიც. თბილისში, გლდანის №60 საარჩევნო უბანთან მამაკაცების ორი ჯგუფი ერთმანეთს დაუპირისპირდა. გარდა დაპირისპირებული მხარეებისა, ადგილზე იმყოფებოდნენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ეძგვერაძე. სწორედ ეძგვერაძის გამოჩენას მოჰყვა შელაპარაკება. დაპირისპირება იყო მარნეულსა და ბაღდათში, სადაც სოფელ დიდველაში გახსნილ საარჩევნო უბანზე ინციდენტი მოხდა. ამომრჩეველმა, რომელიც ხმის მისაცემად იყო

მისული, საარჩევნო აპარატურა დააზიანა და საარჩევნო პროცესი შეაფერხა...

დღის ბოლოს როგორც მმართველი პარტია, ასევე ოპოზიციური პარტიები განსაკუთრებული აღტაცებით შეხვდნენ ეგზიტპოლის შედეგებს - ოპოზიციის კოალიციურმა პარტიებმა „ედისონ რისერჩის“ ეგზიტპოლის შედეგები ზარ-ზეიმით აღნიშნეს. კვლევის თანახმად, 40,9 პროცენტი მმართველ გუნდს ჰქონდა, ხოლო ჯამურად ოპოზიცია იგებდა არჩევნებს. ოპოზიციის ლიდერების ბედნიერ სახეებს მოჰყვა სამომავლო გეგმებიც. ცესკოს შედეგების გაგებამდე კოალიციის წევრებმა მთავრობის დაკომპლექტებაზე დაიწყეს საუბარი.

სანამ ოპოზიციური კოალიციის წევრები „ბიძინას დამთავრებას“ აღნიშნავდნენ, ტვ „იმედმა“ საერთაშორისო კომპანია „გორბის“ მიერ ჩატარებული ეგზიტპოლის შედეგები გამოაქვეყნა, სადაც მმართველი პარტია დაჯერებლად, 56,1 პროცენტით, იმარჯვებდა.

სოციალურ ქსელში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ, ისევე, როგორც ოპოზიცია. ფეისბუქის მომხმარებლები ხუმრობდნენ კიდეც, რომ მეგობრობამ გაიმარჯვა. ახლა გადამწყვეტი სიტყვა ცესკოს უნდა ეთქვა, რამაც არ დააყოვნა - ხმის მიცემის შეწყვეტიდან 1 საათისა და 45 წუთის შემდეგ ცესკომ პირველი მონაცემები გამოაქვეყნა, რის მიხედვითაც საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 54.24%-ით ლიდერობდა, ხოლო ოპოზიციას, რომელმაც საარჩევნო ბარიერი გადალახა, ჯამში,37,33 პროცენტი ჰქონდა. რაც შეეხება აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, „ქართულმა ოცნებამ“ 57.38 % მიიღო, ხოლო ოპოზიციამ - 37,64 პროცენტი.

ლოგიკურია, რომ შედეგით უკმაყოფილო დარჩა ოპოზიცია და საუბარი არჩევნების გაყალბებაზე დაიწყეს. მეორე დღეს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა ორბელიანების სასახლეში პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან ოფიციალური შეხვედრა გამართეს, რის შემდეგაც სალომე ზურაბიშვილმა მოსახლეობას გარეთ გამოსვლისა და პროტესტისკენ მოუწოდა. პრეზიდენტის სიტყვას ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობა გაჰყვა და 28 ოქტომბერს პარლამენტის წინ აქცია გამართეს არჩევნების ხელახლა ჩატარების მოთხოვნით.

დღეს ოპოზიცია ღიად აღნიშნავს, რომ არჩევნები გაყალბდა, თუმცა პარლამენტის თავმჯდომარე მათ ფაქტებით საუბრისკენ მოუწოდებს.

„მიზანი, რაც მათ ჰქონდათ, რომ ხელისუფლება გადაებარებინათ მათი უცხოელი დამკვეთებისთვის, ვერ შეასრულეს და ვხედავთ ახლა კოორდინირებულ კამპანიას იმისთვის, რომ თავს დაესხან ქართველ ამომრჩეველს და წაართვან არჩევანი. მათ შორის, სასაცილო იყო 26-ში, საღამოს მათი გუნება-განწყობის ცვლილება. ხომ იძახეს გაყალბდა-გაყალბდაო, დადგნენ ბრიფინგზე და ვერაფერი თქვეს. აქ რომ რამე გაყალბებულიყო, ან ქართველ ამომრჩეველს რა შეაჩერებდა, ან თუნდაც მაგ ოპოზიციის პროტესტს, მაგრამ წავიდნენ ორის ნახევარზე, დაიძინეს ტკბილად და მშვიდად იმიტომ, რომ იციან, ქართველი ხალხისგან მიიღეს პასუხი საკუთარი უსამშობლოობის გამო“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

გაყალბებაზე საუბარს გამოხმაურება მოჰყვა ცესკოშიც.

„რეალურად, არჩევნების პროცესი იმდენად გამჭვირვალე იყო, რომ დაინტერესებული მხარეები პროცესის დისკრედიტაციას არარეალური ფაქტებით ცდილობენ. ჩვენ გავაგრძელებთ საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებას და არ მივცემთ დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას, შეცდომაში შეიყვანონ ამომრჩევლები“, - ნათქვამია ცესკოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

არჩევნებს მოჰყვა საერთაშორისო გამოხმაურებებიც.

„ხმების ელექტრონული, ასევე, ხელით

დათვლა და არასამთავრობო ორგანიზაცია ISFED-ის მიერ ხმების პარალელური გადამოწმებაც ადასტურებს, რომ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ არჩევანი ამომრჩეველთა დაახლოებით 54%-მა გააკეთა. არ არის აუცილებელი, მოგწონდეს „ქართული ოცნება“ იმისათვის, რომ არჩევნების შედეგებს პატივი სცე. შედეგების არაღიარება საქართველოს მოსახლეობის აშკარა უმრავლესობის მიერ გამოხატული ნების სერიოზული უგულებელყოფა იქნება, რაც დემოკრატიული პრინციპების დარღვევას წარმოადგენს“, - წერს სოციალურ ქსელში გერმანიის ბუნდესტაგის წევრი ანდრეი ჰუნკო.

არჩევნებს ამერიკისა და ევროპის ლიდერები ეხმიანებიან და აღნიშნავენ, რომ ყველა დარღვევა უნდა გამოიძიოს მმართველმა გუნდმა.

„მოვუწოდებთ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და სხვა შესაბამის ორგანოებს, შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, სწრაფად, გამჭვირვალედ და დამოუკიდებლად გამოიძიონ და განიხილონ საარჩევნო დარღვევები და ბრალდებები. ეს დარღვევები უნდა დაზუსტდეს და აღმოიფხვრას. ეს აუცილებელი ნაბიჯია საარჩევნო პროცესისადმი ნდობის აღსადგენად“, - აღნიშნა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელმა.

ჩვენთან საუბარში არჩევნები აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსებმა შეაფასეს.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲑᲐᲘᲫᲔ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე:

- ეს არჩევნები გამორჩეული იყო ბევრი მიმართულებით: საქართველოში პირველად ჩატარდა ელექტრონული არჩევნები, მოქალაქეთა აქტივობა იყო მაღალი, პროცესი წარიმართა სამართლიან და თავისუფალ გარემოში, ესწრებოდა უპრეცედენტოდ ბევრი დამკვირვებელი და მედიაორგანიზაცია. როგორც გავლენიანი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლებმა ანგარიშების წარდგენისას აღნიშნეს, საარჩევნო პროცესი იყო მაღალორგანიზებული და, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანი ხარვეზებისა და დარღვევების გარეშე ჩაიარა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არჩევნები შედგა - სახელმწიფომ და საზოგადოებამ მნიშვნელოვანი ტესტი წარმატებით ჩააბარეს. ამ პროცესში, ხელისუფლებასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოებამ, რომელმაც მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა გამოავლინა, გამოიყენა კონსტიტუციით მინიჭებული უფლება - მივიდა არჩევნებზე და ხმა მისცა ქვეყნის ღირსეულ მომავალს. მადლობა თითოეულ იმ მოქალაქეს, განურჩევლად პოლიტიკური გემოვნებისა, ვინც მივიდა არჩევნებზე და დააფიქსირა თავისი პოზიცია. მადლობა „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს, რომელმაც ხმა მისცა ღირსებას, ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას, მშვიდობას, სტაბილურობას, განვითარებას და ქვეყნის ევროპულ მომავალს. მანდატი, რომელიც ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ მოგვანიჭა, არის მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა. მე როგორც ერთ-ერთი რიგითი ქართველი და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენელი, ყველაფერს გავაკეთებ ჩვენი ქვეყნის ინტერესების დასაცავად.

ᲑᲔᲜᲝ ᲗᲔᲑᲘᲫᲔ, „ლელო საქართველოსთვის“:

- ამ არჩევნებს „ქართული ოცნება“ მომზადებული შეხვდა. მათ მაქსიმალურად გამოიყენეს ის ბერკეტები, რასაც მმართველი გუნდი ყოველთვის ფლობდა, ეს არის საჯარო სექტორი, კრიმინალის მობილიზება, დასაქმებული ადამიანების მაქსიმალურად ჩართვა, შანტაჟი, დაშინება, მოსყიდვა, რაც „ქართული ოცნებისთვის“ არ არის უცხო. მმართველმა გუნდმა მოახდინა საქართველოს საარჩევ-

ნო სისტემის ოკუპირება, რაც ძალიან სამწუხაროა. არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. ოპოზიცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად უკვე მუშაობს იმაზე, რომ დადოს დასკვნა გაყალბებულ არჩევნებთან დაკავშირებით. დავინახეთ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია, იუსტიციის სამინისტრო და სუს-ი ერთობლივად იყო ჩართული ამ პროცესებში. გაყალბების ხერხებს რაც შეეხება, იყო ე.წ კარუსელები, იყო ბოლო თვეებში ახლად დამზადებული პირადობის მოწმობები, რითაც მოხდა სხვადასხვა საარჩევნო უბანზე ხმის მიცემა. მაგალითად მინდა მოვიყვანო ცაგერი. აქ 10000-ზე ოდნავ მეტი ამომრჩეველი ჰყავს თავად ცაგერის მუნიციპალიტეტს და ხმის მისაცემად მივიდა 12000 ამომრჩეველი. ჩნდება ლოგიკური შეკითხვა: საიდან დაემატა 2000 ამომრჩეველი? როგორ მოხვდნენ ეს ადამიანები საარჩევნო სიაში და როგორ მოხდა მათი დარეგისტრირება?

იხ. მე-6 გვ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ხელვაჩაურის მერ ზაზა დიასამიძესთან ერთად, სოფელ ერგეესა და კაპრეშუმში სოციალური სახლების მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნო. სოფელ კაპრეშუმში, 9-სართულიან, თანამედროვე სტანდარტების, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში 90 ოჯახი გააგრძელებს ცხოვრებას. ამ ეტაპზე მშენებლობა დასრულებულია და მიმდინარეობს შიდა სამუშაოები. სოფელ ერგეში კი 11-სართულიანი სოციალური სახლის მშენებლობა მიმდინარეობს. თანამედროვე სტანდარტების შენობა სრულად არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის. ახალ სოციალურ სახლში საცხოვრებელი ფართით 121 ოჯახი დაკმაყოფილდება. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 4 სოციალური სახლის მშენებლობა დასრულდა და ბინებით 112 ეკომიგრანტი ოჯახი დაკმაყოფილდა.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ თურქეთის გენერალურ კონსულთან ბათუმში ადნან ალთაი ალთინორთან შეხვედრა გამართა. მან კონსულს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და შემდგომ საქმიანობაში წარმატებები უსურვა. შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები განიხილეს და იმედი გამოთქვეს, რომ სხვადასხვა მიმართულებით არსებული თანამშრომლობა სამომავლოდ კიდევ უფრო გაძლიერდება.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ოპოზიციის პროტესტს და არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებულ ბრალდებას გამოეხმაურა. „არჩევნებში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის, ქართველი ხალხის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მტკიცედ გამოხატა თავისი ნება, ისინი მხარს უჭერენ „ქართული ოცნების“ პოლიტიკას, მშვიდობას, სტაბილურობას, დემოკრატიული და ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას“, - აცხადებს თორნიკე რიჟვაძე და აღნიშნავს, რომ ყველა ბრალდება, რომელიც ეხება არჩევნების გაყალბებას, არანაირ ფაქტს არ ეფუძნება. „ეს არის იმედგაცრუება რადიკალური ოპოზიციისთვის, მათ ვერ შეძლეს იმ დავალების შესრულება, რომელიც მიზნად ისახავდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. ხალხის ნებას ძალით ვერავინ შეცვლის. არჩევნების შედეგები, რომელიც არის ცხადი ყველასთვის, არის ლეგიტიმური, გვაძლევს იმის აბსოლუტურ საშუალებას, რომ გავაგრძელოთ ხალხის სამსახური და ყველა დაწყებული საქმე მივიყვანოთ ბოლომდე. ოპოზიციას არ აქვს ხალხის უმრავლესობის ნდობა, იმედგაცრუებით გამოწვეული აქციები ჩვენს სახელმწიფოს ზიანს ვერ მიაყენებს და ქვეყანაში იქნება მშვიდობა და სტაბილურობა,“ - აღნიშნავს თორნიკე რიჟვაძე.

* * *

ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია „ოცნების ქალაქში“ იმ ბარაკული ტიპის საცხოვრებლების დემონტაჟს ახორციელებს, რომლის მეპატრონეებმაც სახელმწიფოს მიერ აშენებულ კეთილმოწყობილ საცხოვრებელში ბინები უკვე მიიღეს. აჭარის მთავრობის ინიციატივით, პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დასახლებაში სამი 12-სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა და 582 ბინა მოეწყო. უწყების ინფორმაციით, მუნიციპალურმა ინსპექციამ დასახლება ზუსტად ამდენი ბარაკული ტიპის საცხოვრებლისგან უნდა გაწმინდოს, რომ ტერიტორია მეორე ეტაპის განხორციელებისთვის იყოს მზად. „ოცნების ქალაქი“ არის ერთ-ერთი მასშტაბური სოციალური პროექტი, რომლის ფარგლებშიც ჯამში 1600-ზე მეტ ოჯახს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი გადაეცემა.

* * *

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, „ოცნების ქალაქის“ მეორე ეტაპის მშენებლობისთვის საჭირო პროცედურები უკვე დაიწყო. უწყების ცნობით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ბაზრის კვლევა გამოცხადდა. „ოცნების ქალაქის“ მეორე ეტაპის მშენებლობის ფარგლებში, ტერიტორიაზე 9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი აშენდება, სადაც ჯამში 1077 ბინა მოეწყობა. „პროექტის მიხედვით, მესაკუთრეებს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინები გადაეცემათ. შენობებში გაზიფიცირების და ყველა სხვა საინჟინრო კომუნალური სისტემა მოეწყობა, სახლების ეზოების გამწვანება და სრულად კეთილმოწყობა განხორციელდება. ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის №88 გამზირზე მშენებლობა 36 თვეში დასრულდება. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაოების ღირებულება დაახლოებით 112 236 484 ლარს შეადგენს. ბაზრის კვლევაში დაინტერესებულ პირებს წინადადების წარდგენა შეუძლიათ არა უგვიანეს 2024 წლის 31 ოქტომბრისა.

* * *

ნანეიშვილის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა. თანამედროვე სტანდარტის ბაღი 280 აღსაზრდელს მოემსახურება. შენობა სრულად არის ადაპტირებული შშმ პირთათვის. ბაღის ეზოში მოწყობილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სპორტული მოედანი. ახალი ბაღის გახსნას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი მოადგილე ლელა სურმანიძესთან და ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორ დავით დიასამიძესთან ერთად დაესწრო. საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, აეროპორტის გზატკეცილზე მიმდინარე ბაღის მშენებლობის დასრულებას კი წლის ბოლომდე ვარაუდობენ. მუნიციპალური განვითარების ფონდის

იხ. მე-5 გვ.

„ცალ-ცალკე არიან და გაიძახიან, ჩვენ გავიმარჯვეთო – რას ნიშნავს „ჩვენ“, თუ დამოუკიდებელი კოალიცია ხარ?!“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

არჩევნების შემდეგ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებსა და შიდა თუ გარე პოლიტიკური დაძაბულობის შესახებ „აჭარასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ***სოსო მანჯავიძე*** *საუბრობს.*

- ბატონო სოსო, რა ხდება ახლა თბილისში?

- სიწყნარეა, მიტინგი არ არის. როგორც თავად ნახეთ, 28 ოქტომბრის „თავყრილობა“ მაინცდამაინც შთამბეჭდავად ვერ გამოიყურებოდა. თვალშისაცემი იყო ფოტოშოპის ათასნაირი ვერსია. ხალხის ამ ხერხით გამრავლებული რაოდენობა გაღიზიანებას იწვევდა. მსგავსი ეფექტები გადაიქცა მანიაკალურ მიდრეკილებად, განსაკუთრებით, ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებში. ამით ნერგავენ თავისთვის მისაღებ აღქმებს. ზოგადად, ეს კატასტროფაა, როდესაც ადამიანი სხვა განზომილებაში იმყოფება და ახდენს რეალობის მოდელირებას საკუთარი სურვილისამებრ. როდესაც ეს კოლექტიურ ხასიათს იღებს, იწვევს მძიმე პროცესების ესკალაციას. ხომ ნახეთ, როგორ ზეიმობდნენ „გამარჯვებას“ საკუთარ არხზე „ნაცები“... გასაოცარია ეს ყველაფერი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადასდით ფანატიზმში და მთელ ქვეყანას მიათრევენ გასული საუკუნის 90-იან წლებში. გახსოვთ, პოლიტიკური შეხედულებების გამო ოჯახები დაინგრა, უსასტიკესი ანტაგონიზმი იყო. მაშინდელი განწყობა ბრუნდება და ვხედავთ საშინელი სიძულვილის ფრქვევას. ეს ზიზღი თუ ცინიზმი, განსაკუთრებით, ოპოზიციის მხარდამჭერებში ჩანს. იმდენად არიან დაბრმავებულები, მართლა სჯერათ, რომ ომის საფრთხე ბიძინამ გამოიგონა არჩევნებში გასამარჯვებლად.

- რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ომის საფრთხე ამ გადასახედიდან. როგორც აღნიშნეთ, ოპოზიცია ამტკიცებს, რომ მმართველი გუნდი ამას იყენებს ფარად არჩევნებში გასამარჯვებლად...

- ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ხალხის არაადეკვატურობას, შერწყმულს ძალაუფლების სურვილთან, სიძულვილთან, უცხოეთის დავალებების შესრულებასთან, დაფინანსების შეწყვეტის შიშთან... ეს ყველაფერი ქმნის საოცარ „ვინეგრეტს“, რაც იწვევს ამ ქაოსურ აზრებს და მტკიცებულებებს. სხვა რა უნდა ვთქვა საქართველოში მცხოვრებ ადამიანებზე, რომლებიც არც კი ფიქრობენ საკუთარი ქვეყნის და ოჯახების უსაფრთხოებაზე.

- და მაინც, რატომ არიან ასე დარწმუნებულნი, რომ ომის საფრთხე ქიმერულია?

- კარგი, მაშინ გადავხედოთ, რამდენი ომი და შეიარაღებული კონფლიქტი გადავიტანეთ ამ ბოლო ოცდაათ წელიწადში: სამოქალაქო ომი, ომი აფხაზეთში და შემდეგ ცხინვალში ანუ სამხრეთ ოსეთში, მოკლე სამოქალაქო ომი აფხაზეთის შემდეგ, რასაც მოჰყვა წლების განმავლობაში მხედრიონის ბანდების თარეში, ვარდების რევოლუცია... ეს ყველაფერი დაძაბულობის ფონზე მიმდინარეობდა, 2004 წლის მინიომი... ისიც იცით, რა გააკეთა სააკაშვილის ბანდამ როგორც კი მოვიდა ხელისუფლებაში. რეფორმების სახელით, რაც სინამდვილეში ძარცვა-გლეჯას ემსახურებოდა, ნაჯახით დაერია ბიზნესს და მოქალაქეებს... დაგვირგვინდა პროცესი 2008 წლის ომით, რომელსაც მოჰყვა განუწყვეტელი დაძაბულობა, დაპირისპირება გაფიცვებით და კარვებით, რაც დამთავრდა ხელისუფლების შეცვლით. შემდეგ, ეს დაპირისპირება მტკივნეული რომ არ გამხდარიყო, დაიწყო კოაბიტაცია, რომელმაც მოქალაქეთა დიდი ნაწილის უკმაყოფილების მიუხედავად, მაინც შეანელა დაძაბულობა. ახლა უკრაინაში ომია, საქართველოს სამხრეთით - ერაყში, ლიბანში, ირანში, ისრაელში - დაბომბვები. როდის გადაიზრდება კონფლიქტი ბირთვულ დაპირისპირებაში, არავინ იცის.

სომხეთ-აზერბაიჯანის კუთხით ომის საფრთხე მუდმივად არსებობს, ომია სირიაში... ყველა ექსპერტი ამბობს, რომ კავკასია წარმოადგენს დაპირისპირების არეალს, ხოლო საქართველო - დიდი სავაჭრო გზების გამტარიანობის მნიშვნელოვანი რგოლი ანუ გეოპოლიტიკური გზაჯვარედინია. ეს ყველაფერი ქმნის ძაბრის ყელს და შესაბამისად, მის ირგვლივ დაძაბულობა მატულობს. უკვე მთელი მსოფლიო ჩაერთო ჩვენს შიდაპოლიტიკურ პროცესებში - აშშ, ბრიტანეთი, ჩინეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი... ამ ვითარებაში ჩვენ ალბრიტანული საზღვაო სამართალი სასაზღვრო კომპანიების საშუალებით. რუსული სისტემის რღვევასთან და გაბატონებული დოლარის კურსის კრიზისთან ერთად (უზარმაზარი ვალი კიდია მსოფლიო ეკონომიკაზე) დაიწყო სავაჭრო გზების ხმელეთზე გადატანა, რაც ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა ამ ძალებისთვის. აქედან გამომდინარე, მათი სტრატეგიული ამოცანაა საქართველოს ხელისუფლებაში ისეთი ძალების მოყვანა, რომელიც გზებს დაბლოკავს და შეუძლებელს გახდის სატრანზიტო ფუნქციების შესრულებას სამხრეთ კავკასიისათვის. ეს არის სუფთა ბიზნესი, არავითარი პირადი სიძულვილი...

- აქცენტს აკეთებენ დემოკრატიულ ღირებულებებზე...

- ეს ყველაფერი ყალბი რიტორიკაა და ნუ ჩავუღრმავდებით, უმჯობესია გადავხედოთ, რას აკეთებს საქართველოს მთავრობა? არც მეტი, არც ნაკლები, საოცარ აკრობატულ ილეთებს ატარებს და დახვეწილად, მოქნილად მიჰყავს პროცესები. იგივე, არჩევნები განვიხილოთ: მიჰყვა ევროკავშირის აბსოლუტურად ყველა რეკომენდაციას, მათ შორის, ხმების დათვლისთვის ელექტრონული მანქანების გამოყენებას და არჩევნების სრულად პროპორციული სისტემით ჩატარებას... თანაც კონსტიტუციაში ჩაწერეს, რომ ყველა მთავრობა უნდა მიისწრაფოდეს ევროპისკენ (იმის მიუხედავად, იქნება თუ არა ევროკავშირი ან რა მდგომარეობაში აღმოჩნდება).

- თვლით, რომ „ქართული ოცნება“ ცდილობს დასავლეთის გულის მოგებას, მაგრამ ვერ ახერხებს?

- დიახ, ცდილობს, არ მისცეს დასავლეთს ფრონტალური შეტევის საშუალება, მაგრამ ნებისმიერ არჩევნებზე ხდება დარღვევები, თანაც მმართველობის 12 წლის განმავლობაში „ოცნებასაც“ დაუგროვდა მოსახლეობაში უკმაყოფილო მოქალაქეები, რაც ბუნებრივია ნებისმიერი მთავრობის დროს, თუმცა ამ უკმაყოფილებას, ხშირად არაცნობიერად, გარედან ჩადებული ნარატივები უდევს საფუძვლად. ძირითადად, ეს ის ხალხია, რომელიც მომავლის მოდელირებას ვერ აკეთებს და არც იმის სჯერა, რაზეც ახლა ვსაუბრობთ.

- მაგრამ ისიც ფაქტია, რომ წინასაარჩევნოდ მმართველი პარტია სწორედ მშვიდობასა და ომს შორის არჩევანს გვთავაზობდა ამომრჩევლებს.

- ცხადია, ნებისმიერი მთავრობა გამოიყენებდა იმ პრიორიტეტს, რომ ამ ურთულეს ვითარებაში ქვეყანაში მშვიდობას ინარჩუნებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მშვიდობას რეალური საფრთხე არ ემუქრება. თავად განსაზღვრეთ, ოპოზიციური ძალები ამბობენ, როგორც კი უმრავლესობით მოვლენ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში, მაშინვე შეუერთდებიან რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებს, თანაც არანაირ განმარტებას, გეგმას არ დებენ, თუ რითი მოხდება ამის შედეგად კოლაფსში მოქცეული და განადგურებული ეკონომიკის კომპენსაცია. რომელიმე ოპოზიციური ძალა სერიოზული რომ იყოს, თუკი წერილობით დასტურს ვერ მიიღებდა დასავლეთისგან სანქციებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებაზე, ზეპირ დაპირებას მაინც მოსთხოვდა.

- ჩვენი პრეზიდენტის ქმედებებზე რა კომენტარს გააკეთებთ?

- ჩვეულებრივი რეზიდენტია. სულ ვამბობდი, მათ შორის თქვენთან ინტერვიუებზე, თანხებზე, ქალების კვოტის გამოყენება-არგამოყენებაზე. მართლა სალომე ზურაბიშვილი, ნიკა გვარამია და „გირჩი - ჯაფარიძე“ უნდა იყო, რომ ილაპარაკო სამასი ათასი ხმის გაყალბებაზე. წინასწარ ვიცოდით, ასე რომ იქნებოდა და ამ სისულელეებში შეეცდებოდნენ საკუთარი მომხრეების და დასავლეთის დარწმუნებას. თან ისიც თქვეს, დათვლაზე პრეტენზია არ გვაქვსო, ან რა პრეტენზია უნდა გასჩენოდათ, როდესაც მათივე მოთხოვნით დადგეს საარჩევნო უბნებში ხმის დამთვლელი მანქანები... ანუ დათვლაზე პრეტენზია არ აქვთ, მაგრამ გარედან ხდებოდა ამომრჩევლების მოსყიდვაო... ვინ ლაპარაკობს მოსყიდვებზე, თავად ხომ ყველა ერთიანად მოსყიდული და გაყიდულია, როგორსაც უბრძანებენ, ისეთ დასკვნას დებენ, საერთაშორისო კორუფციული ქსელით იმართებიან, საცეცები არიან... რითი არსებობენ საერთოდ? საუბრობენ სამართლიანობასა და დემოკრატიაზე მაშინ, როდესაც თავადაც პოლიტიკურად ანგაჟირებულები არიან. ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ უკვე რამდენიმე წელია, საქართველოში ტელეჟურნალისტების, არასამთავრობო და პარტიული სექტორის განუწყვეტელი, პირდაპირი, აგენტურული ფორმირება მიმდინარეობს. ეს ხალხიც ყველა ჯერზე ერთი და იმავე სცენარით, ერთი და იმავე ქმედებებს ასრულებენ. რა საჭიროა ისეთი არჩევნები, რომელიც ქვეყანას დაღუპავს? ეს ის მოქალაქეობრივი ვალია, რომელსაც ბავშვები ესილი დანის პირზე დავდივართ - იქიდან გვყავს რუსეთი, თავისი მოუქნელი და მოუხეშავი ძალისმიერი პოლიტიკით, აქედან - დასავლეთი, რომელიც მოითხოვს, ავრიოთ ქვეყანა...

- დასავლეთს რატომ აძლევს ხელს საქართველოში არეულობა?

- მსოფლიო ვაჭრობის დიდი ნაწილის გადანაცვლება ხდება სახმელეთო გზების არტერიებზე, რადგან ვხედავთ, რა ხდება ჰორმუზის სრუტეში, როგორ ბომბავენ გემებს ჰუსიტები ან რა პროცესები მიმდინარეობს ყვითელ ზღვაში, საიდანაც ცდილობენ ჩინეთს მალაკის სრუტიდან საერთოდ გადაუკეტონ საზღვაო ვაჭრობის საშუალებები. აქვე შეგახსენებთ, რომ აქამდე ვაჭრობის 80% სწორედ საზღვაო გზებით მიმდინარეობდა, რასაც აკონტროლებდა საზღვაო ფლოტი და ინვალიდი ანუ სამხრეთ ოსეთში, მოკლე სამოქალაქო ომი აფხაზეთის შემდეგ, რასაც მოჰყვა ბრძოლა ბანდების თარეში, ვარდების რევოლუცია... ეს ყველაფერი დაძაბულობის ფონზე მიმდინარეობდა, 2004 წლის მინიომი... ისიც იცით, რა გააკეთა სააკაშვილის ბანდამ როგორც კი მოვიდა ხელისუფლებაში. რეფორმების სახელით, რაც სინამდვილეში ძარცვა-გლეჯას ემსახურებოდა, ნაჯახით დაერია ბიზნესს და მოქალაქეებს... დაგვირგვინდა პროცესი 2008 წლის ომით, რომელსაც მოჰყვა განუწყვეტელი დაძაბულობა, დაპირისპირება გაფიცვებით და კარვებით, რაც დამთავრდა ხელისუფლების შეცვლით. შემდეგ, ეს დაპირისპირება მტკივნეული რომ არ გამხდარიყო, დაიწყო კოაბიტაცია, რომელმაც მოქალაქეთა დიდი ნაწილის უკმაყოფილების მიუხედავად, მაინც შეანელა დაძაბულობა. ახლა უკრაინაში ომია, საქართველოს სამხრეთით - ერაყში, ლიბანში, ირანში, ისრაელში - დაბომბვები. როდის გადაიზრდება კონფლიქტი ბირთვულ დაპირისპირებაში, არავინ იცის.



ესეც ერთ-ერთი ფაქტორია. ეს ის ადგილია, სადაც ბაკურ ბაღაშვილი ბრძოლაში ეცემა. ეს ის ადგილია, ეს ის ადგილია, ეს ის ადგილია,

წლის არჩევნები – ტრამპი თუ ჰარისი?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები მსოფლიოს მომავალს რომ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, ცხადზე უცხადესია. სწორედ ამ სახელმწიფოს ქმედებებზეა დამოკიდებული მსოფლიოს პროგრესი ან რეგრესი ათწლეულების განმავლობაში. ყოველ შემთხვევაში, აშშ-ის ძალისხმევით შეინარჩუნა დასავლეთ ევროპამ სუვერენიტეტი და ამავე დროს, მისივე ინიციატივით დაინგრა საბჭოთა კავშირი. ამიტომ უმნიშვნელოვანესი მოვლენაა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები

5 ნოემბრამდე რამდენიმე დღე დარჩა, თეთრ სახლში მოხვედრისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაშია. ერთ მხარესაა ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და მეორე მხარეს - კამალა ჰარისი, მოქმედი ვიცე-პრეზიდენტი, რომელმაც 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ბაიდენის კანდიდატურა ჩაანაცვლა და დემოკრატიული პარტიის უკანასკნელი იმედია. მან „რესპუბლიკელთა“ პოლიტიკური დისკურსი ძირფესვიანად ამოაყირავა. თავიდათავი ისაა, რომ გამოკითხვებით ტრამპი მნიშვნელოვანად უსწრებდა ბაიდენს, ამიტომაც „დემოკრატებმა“, როგორც ამბობენ, კულუარებში მიიღეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და აიძულეს ბაიდენი, მოეხსნა საკუთარი კანდიდატურა საპრეზიდენტო მარათონში, არადა, ბაიდენი აცხადებდა, რომ აპირებდა არჩევნებში მონაწილეობას. აღსანიშნავია ისიც, რომ „დემოკრატთა“ მხრიდან კამალა ჰარისის წარდგენა საპრეზიდენტო კანდიდატად კულუარებში მოხდა, ანუ პარტიაში პრაიმერი არ გამართულა. იმასაც ამბობენ, რომ ამ მხრივ აქტიურობდა ყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელიც „დემოკრატიული პარტიის“ არაფორმალური ლიდერია. ამის შესახებ ანალიტიკოსთა ნაწილი საუბრობს. ასეა თუ ისე, საარჩევნო კამპანია ფინალს მიუახლოვდა,

> ***„ანალიტიკოსები კითხულობენ, თუ პრეზიდენტი ბაიდენი უუნაროა, ვინ მართავდა ამ ხნის განმავლობაში ქვეყანას რეალურად? როგორც ამბობენ, ეს მისი გარემოცვა იყო, რომელმაც, ცხადია, საგარეო კუთხით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არ მიიღო. ჰქონდა უარყოფითი მხარეები, ვგულისხმობ უკრაინის ომს - როგორც ცნობილია, სწორედ ბაიდენის ადმინისტრაციის ძალისხმევით უკრაინას თითქმის 6 თვე არ მიეწოდებოდა იარაღი***

კანდიდატებს (ტრამპი, ჰარისი) შორის მკაფიო განსხვავებაა, უმეტესწილად საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, რაც დასავლეთის შეშფოთებას იწვევს... ყველას ახსოვს ტრამპის იზოლაციონისტური ქმედებები, მისი ნარატივები, რომ ნატო მოძველდა და მას აშშ ტყუილუბრალოდ კვებავს და ა. შ., რაც დასავლეთის შეშფოთებას იწვევს. ეს საპრეზიდენტო არჩევნები იმითაცაა საყურადღებო, რომ კამალა ჰარისი პირველი ფერადკანიანი ქალი პრეზიდენტობის კანდიდატია აშშ-ის ისტორიაში, რაც ახალგაზრდა და ეთნიკურად მრავალფეროვანი ამომრჩევლისთვის მიმზიდველია. როგორც ცნობილია, მანამდე საპრეზიდენტო მარათონში ჰილარი კლინტონიც მონაწილეობდა, მაგრამ დამარცხდა ტრამპთან ორთაბრძოლაში. რა მოხდება ამ არჩევნებში, ამას დრო დაგვანახებს, თუმცა ის კი ცხადია, რომ ბრძოლა უშეღავათოა: „ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ ყველა ამერიკელს ჰქონდეს თანასწორი შესაძლებლობები და დაცული იყოს მათი უფლებები... ქვეყნის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შევძლებთ ახალი იდეების და ლიდერების აღზრდას, რომლებიც მართვის პროცესში პროგრესს მიაღწევენ“, - აცხადებს კამალა ჰარისი. ოპონენტები ამბობენ, რომ ის მემარცხენე-კომუნისტური იდეებითაა შეპყრობილი და მისი გაპრეზიდენტება ამერიკის ეკონომიკას დააქცევს. სხვათა შორის, მას არ ჩამოუყალიბებია კონკრეტული გეგმა უკრაინის ომის შესახებ, ანუ როგორ აპირებს კრემლის ამბიციების მოთოკვას თუნდაც პოსტსაბჭოთა სივრცეში. სამაგიეროდ ამ მხრივ აქტიურობს დონალდ ტრამპი: „მატყუარა კამალა ჰარისი ანადგურებს ყველაფერს, რასაც ეხება!“ - აცხადებს ტრამპი. „დემოკრატებმა მოატყუეს და შეაცდინეს საზოგადოება, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ბაიდენს აქვს სრული და აბსოლუტურ-კოგნიტური და ფიზიკური დაქვეითება“, - ამბობს ის. ამ მხრივ, ანალიტიკოსები კითხულობენ, თუ პრეზიდენტი ბაიდენი უუნაროა, ვინ მართავდა ამ ხნის განმავლობაში ქვეყანას რეალურად? როგორც ამბობენ, ეს მისი გარემოცვა იყო, რომელმაც, ცხადია, საგარეო კუთხით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არ მიიღო. ჰქონდა უარყოფითი მხარეები, ვგულისხმობ უკრაინის ომს - როგორც ცნობილია, სწორედ ბაიდენის ადმინისტრაციის ძალისხმევით უკრაინას თითქმის 6 თვე არ მიეწოდებოდა იარაღი, ამან კი დონეცკის რეგიონში რუსეთის პოზიციები გაამყარა. მას შემდეგ, რაც ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ღიად დაიწყო საუბარი, აშშ იძულებული გახდა, შეიარაღება გაეგზავნა კიევისთვის, F-16-ების გაგზავნამ უკრაინაში მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა რუსეთის არმიას, რაც კარგად გამოჩნდა კურსკის ოლქში. უკრაინის არმიამ ამ რეგიონში ბუფერული ზონა შექმნა. უდავოა, რომ ამ ომის ბედი, გარკვეულწილად, აშშ-ის მხარდაჭერის შედეგზეა დამოკიდებული. არადა, თითქმის სამი წელია, ვუყურებთ დამანგრეველ ომს, სისხლისღვრას, სიკვდილს უკრაინაში: დღე არ გავა, უმძიმესი ტრაგედიის შესახებ არ გავიგოთ - განადგურებული სახლები, იავარქმნილი ქალაქები... ეს ხდება 21-ე საუკუნეში მთელი მსოფლიოს თვალწინ, რაშიც გარკვეული პასუხისმგებლობა დასავლეთსაც ეკისრება. სწორედ ამის შესახებ საუბრობს ტრამპი: „თანამედროვე დროში პირველი პრეზიდენტი ვიყავი, რომელმაც ახალი ომი არ დაიწყო... ყველაზე ძლიერები ვიყავით, ყველაზე პატივცემულები... პრეზიდენტ ბუშის დროს რუსეთი საქართველოში შეიჭრა, პრეზიდენტ ობამას დროს რუსეთმა ყირიმი აიღო, მიმდინარე ადმინისტრაციის დროს კი რუსეთი მთელი უკრაინის დაპყრობას ცდილობს, პრეზიდენტ ტრამპის დროს რუსეთმა ვერაფერი დაიპყრო“, - განაცხადა ტრამპმა. მართლაც, ახლს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ რუსეთმა ბუშის, ობამასა და ბაიდენის მმართველობისას განახორციელა აგრესია სხვადასხვა სახელმწიფოს მიმართ, რასაც მაშინ, სამწუხაროდ, თეთრმა სახლმა ვერ ან არ შეუშალა ხელი და აშშ-ის ავტორიტეტი საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვნად შეარყია. არც ის დაგვავიწყდეს, როგორ სამარცხვინოდ დატოვეს ამერიკელმა სამხედროებმა ავღანეთი. დაუვიწყარია ის კადრები, თვითმფრინავის ბორბლებს გამოკიდებული რიგითი ავღანელები როგორ ცდილობენ ქვეყნის დატოვებას, მაგრამ... თუ რუსეთი შეძლებს უკრაინაში თავისი მიზნების მიღწევას (ანუ ომის გაყინვას ანდა ოკუპირებული ტერიტორიების შენარჩუნებას), მაშინ საგარეო პოლიტიკაში საერთაშორისო სამართლის ნორმებს აღარავინ დაიცავს და წახალისდებიან ახალი აგრესორები მიზნების მისაღწევად. ტრამპი აცხადებს, რომ 24 საათში დაამთავრებს ომს უკრაინაში, მაგრამ არ აკონკრეტებს, როგორ მოახერხებს ამას. პუტინი არ აპირებს ომის შეწყვეტას, პირიქით, იმუქრება მთელი უკრაინის დაპყრობით, ამავე დროს, დასავლელი ლიდერებისგან ითხოვს მსოფლიოს ახალ გადანაწილებას, რასაც ეწინააღმდეგება როგორც უკრაინა, ისე ევროპა

და კოლექტიური დასავლეთი. სხვათა შორის, კრემლის მედიასაშუალებები სიმპათიით არიან განმსჭვალულნი ტრამპის მიმართ. ისინი თვლიან, რომ თუ ტრამპი აშშ-ის პრეზიდენტი გახდება, რუსეთის ინტერესებს გაითვალისწინებს, ანუ პოსტსაბჭოთა სივრცეს რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარებს და ნატოს აღმოსავლეთით აღარ გააფართოებს, რასაც ექსპერტები არარეალურად მიიჩნევენ, ვინაიდან თუ აშშ მოკავშირეების მხარდაჭერასა და ნატოს გაძლიერებაზე უარს იტყვის, ეს, უპირველესად, მისთვის იქნება სახიფათო, რადგან აშშ-ის უსუსურობას წარმოაჩენს და, ასევე, რუსეთის ზეამბიციებს გამოიწვევს. კრემლის აპოლოგეტები სწორედ იმაზე ოცნებობენ, რომ აშშ-სა და ევროკავშირს შორის განხეთქილება წარმოიშვას. გარკვეული მიზეზების გამო მოვლენები კრემლისთვის სასარგებლოდ წარიმართა - უნგრეთი და სლოვაკეთი დაუახლოვდნენ რუსეთს. ამ ფონზე, თუ აშშ რუსეთის ინტერესებს დააკმაყოფილებს, მაშინ ჩრდილოელ მეზობელს აღარ გაუჭირდება პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამორჩილება...

ტრამპი აცხადებს, რომ მისი პრეზიდენტობის დროს ამერიკის ეკონომიკა გაძლიერდა, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, ჩინეთის ამბიციები ამერიკის ეკონომიკაში შესუსტდა და ა. შ. და თუ გახდება პრეზიდენტი, ამერიკას ააყვავებს. ჰარისის ეკონომიკურ პოლიტიკაზე საუბარი ძნელია, რადგან მკაფიო გზავნილები არ გაუჟღერებია, უფრო სადღეგრძელოს დონეზე გაახმიანა. სოციოლოგიურ კვლევებს თუ დავეყრდნობით, პრაქტიკულად, მათი შანსები თანაბარია.

ცალსახად უნდა ითქვას, ახლა რუსი ჯარისკაცი რომ არ დგას პოლონეთის საზღვართან (უკრაინის მხრიდან) და აშშ-ის არმიას არ უწევს ბრძოლა აღმოსავლეთ ევროპის სუვერენიტეტისთვის, სწორედ უკრაინის დამსახურებაა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურმა ელიტამ უნდა გააანალიზოს და დასკვნები გამოიტანოს, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ ანალიტიკოსები. საპრეზიდენტო არჩევნებამდე, როგორც ვთქვით, რამდენიმე დღე დარჩა და ცხადია, შედეგების გათვლა შეუძლებელია, სავარაუდოდ, დაძაბული იქნება და შედეგი იმაზე იქნება დამოკიდებული, რომელი საკითხია ამომრჩევლისთვის გადამწყვეტი. მოკლედ, ამერიკის არჩეულ პრეზიდენტს თუ სურს, რომ აშშ-ის ინტერესები არ დაზარალდეს საგარეო პოლიტიკაში, არა მხოლოდ უნდა გაანეიტრალოს კრემლის ამბიციები სხვადასხვა რეგიონში, არამედ, უპირველესად, უნდა დაიცვას თავისი მოკავშირეები, მათ შორის უკრაინა, რომელიც დასავლეთის დამცავი კედელია. შესაბამისად, აუცილებელია, ამ მხრივ თანმიმდევრული ნაბიჯები გადადგას.

ბეჭან ბერიძე: მადლობა ყველა დონორს, ვინც თუნდაც ერთხელ გაიღებს სისხლს სხვის გადასარჩენად

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ბეჭან ბერიძე *შპს „ჰემა-2012“-ის (სისხლის ბანკი) დირექტორია. 60 წელს გადაცილებულმა საზოგადოებრივი და პროფესიული საქმიანობის საინტერესო და შინაარსიანი გზა განვლო.*

- ბატონო ბეჟან, იმ თაობის ექიმი ხართ, რომელმაც შორეულ, საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა სოფელ დარჩიძეების ახალგაზრდებს, სხვებთან ერთად, საპატიო პროფესიის დასაუფლებლად გზა გაუკვალეთ...

- დღეს დარჩიძეების სკოლის კურსდამთავრებულთაგან 50-ზე მეტი მოქმედი ექიმია, რომლებიც ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობენ. ექიმის პროფესია, ეს არის მაღალი ზნეობით, მორალურად და პასუხისმგებლობით დატვირთული პროფესია, როცა მარტო შენს თავს არ ეკუთვნი. ჩემი სოფლის გეოგრაფიული მდებარეობიდან და მისი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ახალგაზრდების წარმატებული მომავალი მხოლოდ სწავლა-განათლებაში ჩანდა. პირველი ჩვენი გზამკვლევი ექიმის პროფესიის დაუფლებასა და შემდგომ ჩამოყალიბების პროცესში გახლდათ ბატონი დიმიტრი ცეცხლაძე, რომელსაც მოჰყვა ჩემი თაობა, შემდეგ მრავალი ჩემი თანასოფლელი, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი პასუხისმგებლობით. უღრმესი მადლობა თითოეულ მათგანს.

- რა როლი ითამაშა ოჯახმა, კერძოდ, მამამ, რომ ექიმის პროფესია აგერჩიათ?

- მამა შოთა ბერიძე პროფესიით პედაგოგია. ის იყო ჩემი მასწავლებელი დაწყებით კლასებში, მან შემაყვარა წიგნი. როგორც ყველა ბავშვს, სკოლის პერიოდში მეც მიფიქრია სხვადასხვა პროფესიაზე. 80-იან წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა მხოლოდ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლად ითვლებოდა. ძალიან დიდი იყო კონკურსი, მიუხედავად ამისა, არჩევანი ამ მიმართულებით გავაკეთე. რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშეს მშობლებმაც. წლების შემდეგ მინდა გადავუხადო უდიდესი მადლობა მათ მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

- შვილებზე რას გვეტყვით?

- მყავს 4 შვილი. ორი მათგანი ჩემს პროფესიას გაჰყვა და წარმატებითაც. ვამაყობ მათი არჩევანით და უამრავი მადლიერი პაციენტის მხრიდან მათი მისამართით გამოთქმული სამადლობელი სიტყვებით. უფროსი ქალიშვილი წარმატებული ფინანსისტია, ვაჟიშვილი გოჩა ჩემთან მუშაობს როგორც სამედიცინო სფეროში, ასევე, მშენებლობის მიმართულებით. ოთხივე შვილი დაოჯახებულია და თავიანთი კარგი შვილობითა და ქართველობით მიქმნიან მყარ საფუძველს ლამაზი სიბერისთვის.

- რას გაიხსენებთ იმ წლებიდან, როცა შუახეველთა ჯანმრთელობას ემსახურებოდით?

- იმდენია გასახსენებელი, რომ გაზეთის რამდენიმე ეგზემპლარიც კი ვერ დაიტევს ამას. ინსტიტუტის დამთავრებიდან 6 თვის შემდეგ, 1986 წელს, მუშაობა დავიწყე ოლადაურის საექიმო ამბულატორიაში, ერთი წლის შემდეგ გადავედი შუბნის, ჩემი სოფლის საუბნო საავადმყოფოში, სადაც ვმუშაობდი 1990 წლის აპრილამდე. 25-საწოლიანი საავადმყოფო, ძირითადად, შუბნისა და ოლადაურის თემების, ხოლო ზაფხულობით, მთა ჩირუხისა და ჯინალის მოსახლეობას ემსახურებოდა, პირველადი დახმარების აუცილებლობისას - 3 სასაზღვრო პუნქტსაც. მკურნალობა უტარდებოდათ როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ ავადმყოფებს. ზამთრის პერიოდში 40-მდე ავადმყოფიც კი გვყოლია ერთდროულად. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ექიმი ვიყავი, საავადმყოფოს იმუამინდელ სამედიცინო კოლექტივთან ერთად, ყველაფერს ვაკეთებდი მოსახლეობის ჯანმრთელობის დასაცავად. ტერიტორიულად ჩვენი მომსახურების არეალი იყო საკმაოდ მოცულობითი და გეოგრაფიულად რთული, განსაკუთრებით, ხანგრძლივი ზამთრის პერიოდში. მახსოვს, დიდთოვლობის დროს ერთ გამოძახებაზე სოფელ კობალთაში ვიყავი, მეორე გამოძახებაზე - სოფელ წელათში, მთელი ღამის განმავლობაში ფეხით 10 კილომეტრი გავიარე, მამაკაცების დახმარებით, ავადმყოფი ციგით გადმოვიყვანეთ საავადმყოფოში და იქ გავუწიეთ სათანადო სამედიცინო დახმარება. მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა (უტრანსპორტობა, უგზოობა, კომუნიკაციის მინიმალური შესაძლებლობა), ყველაფერს ვაკეთებდით პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად. ეს წლები რჩება გამორჩეულ პერიოდად. მარტო ის რად ღირს, რომ ჩემი პატრონაჟის ქვეშ იყო ყველანაირი დაავადებისა და ყველა ასაკის პაციენტი. ამ წლებმა პროფესიონალად ჩამოყალიბების საქმეში უფრო მეტი მომცა, ვიდრე ინსტიტუტმა. გამოვიყენებ ამ შესაძლებლობას და კიდევ ერთხელ გადავუხდი უღრმეს მადლობას იმ გუნდს, რომელთანაც ვიმუშავე, გაწეული ამაგისათვის, ჩემი, როგორც ახალბედა ექიმის, თანადგომისათვის თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით.



- „გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე!“ - ეს არის სისხლის ბანკის მოწოდება, რომლის ხელმძღვანელი ხართ. როგორ აფასებთ ამ საქმეში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას?

- მრავალი დაავადების მკურნალობის უალტერნატივო საშუალებაა სისხლის გადასხმა. მოთხოვნა სისხლზე და სისხლის პროდუქტებზე მუდმივად მზარდია. ჩვენი დაწესებულება ქვეყნის მასშტაბით 25 სამედიცინო დაწესებულებას ამარაგებს სისხლის კომპონენტებით. ამ მიმართულებით ქვეყანაში პირველები ვართ. მახსოვს პერიოდი, როცა არ არსებობდა სისხლის მარაგი. დღეისათვის უანგარო დონორების აქტივობით და ადგილობრივი მოსახლეობის მზარდი ჩართულობით ეს პრობლემა ნაწილობრივ აღმოფხვრილია. მიუხედავად ამისა, სისხლის დეფიციტი მაინცაა. მადლობა ყველა იმ დონორს, ვინც თუნდაც ერთხელ გაიღებს სისხლს სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად.

- ფასდაუდებელია ის ძალისხმევა, რაც წინა საუკუნის 30-იან წლებში რეპრესირებული ბაბუისთვის - ხასან ბერიძისთვის გასწიეთ. უპრიანი იქნება ამის გახსენება.

- სამწუხაროდ, წინა საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიები ჩემს ოჯახსაც შეეხო. 1937 წლის სექტემბერში დააპატიმრეს ბაბუა ხასან ბერიძე. მაშინ მამა შოთა ბერიძე 1 წლისაც არ იყო, ბაბუა - 28 წლის, ახალგაზრდა კაცი. 1941 წლის აპრილში იგი ციხეში გარდაიცვალა. ისე მოხდა, რომ ბაბუის სურათიც კი არ გვქონდა (ალბათ, არ დაგვტოვეს ოჯახში). მამა ნაღვლობდა, მაინტერესებს, როგორი გარეგნობის კაცი იყოო. ყოველივე ამან გადამაწყვეტინა, მომეძებნა ბაბუის საფლავი. დიდ ხნისა და ბევრი მცდელობის შემდეგ, 2017 წლის ივნისში, ქალაქ ეკატერინბურგის არქივში მივაკვლიე ბაბუის საქმეს, საკმაოდ სქელ წიგნად შეკერილს. ამ საქმეში მითითებული იყო საფლავის ადგილმდებარეობა, ეკატერინბურგიდან 500 კილომეტრში, ჩრდილოეთით. სრულად აღწერილი იყო ბაბუის გარეგნობა, იყო ხელის ათითვე თითის ანაბეჭდი და მისი რამდენიმე ხელწერა ქართულ ენაზე (სამწუხაროდ, სურათი იქაც ვერ ვიპოვეთ). მეორე დღესვე წავედი სასაფლაოს მოსანახულებლად. ეს იყო ძალიან ამაღელვებელი მომენტი ჩემს ცხოვრებაში. 3 თვის მერე სასაფლაოზე ჩემმა მეგობარმა (ქ. კრასნოტურინსკიდან ალექსი რაგოზინი) დადგა მემორიალური ქვა წარწერით: სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა პატივსაცემად. მას მერე იმ ადგილს მუდმივად უვლიან და ყვავილებით ამკობენ ჩემი მეგობარი და ადგილობრივი მოსახლეობაც. ბაბუის საფლავის ძიებაში უდიდესი დახმარება და მხარდაჭერა აღმომიჩინეს ჩემმა მეგობრებმა მერაბ ბოლქვაძემ (ცხოვრობს იაროსლავში) და თემურ მიქელაძემ. მას შემდეგ რამდენჯერმე მოვინახულე საფლავი, ერთხელ ოთხივე შვილთან და შვილიშვილთან ერთად.

- ახლა რა ურთიერთობა გაქვთ იმ პიროვნებებთან, რომლებმაც თანადგომა გაგიწიეს?

- მერაბ ბოლქვაძე და თემურ მიქელაძე ჩემი ბავშვობის მეგობრები არიან, რაც შეეხება ალექსი რაგოზინს, ვმეგობრობთ ოჯახებით, ხშირად ვსტუმრობთ ერთმანეთს. დიდი დახმარება გამიწია ქალაქ ნინოწმინდაში დაბადებულმა და გაზრდილმა (საშუალო სკოლა იქ დაამთავრა) პეტრე ზუბკოვმა (ამჟამად ცხოვრობს ქალაქ ტიუმენში), რომელმაც გამაცნო რაგოზინი. კიდევ ბევრმა მეგობარმა შეიტანა დიდი წვლილი ამ საქმეში. უღრმესი მადლობა მათ ყველაფრისთვის. მერაბ ბოლქვაძე, ილია ხერხელაური, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქ იაროსლავში, ყოველთვის ჩამოდიან ქალაქ ეკატერინბურგში, როცა ბაბუის საფლავის მოსანახულებლად ჩავდივარ.

- როგორ გიფასდებათ გაწეული ამაგი?

- მთელი ცხოვრება ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს და რასაც პატივს ვცემ. მე ამით ბედნიერი ვარ. რაც შეეხება ამაგის დაფასებას, ამაზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, მადლიერების გამოხატვა სასიამოვნოა, მაგრამ ეს ჩემთვის თვითმიზანი არასდროს ყოფილა.

- როგორ აფასებთ სახალხო დღესასწაულ „დარჩიძეებობის“ წამოწყებას?

- ყველა სახალხო დღესასწაულის მიზანია ჩვენი ისტორიის, ადათ-წესების, კულტურის არდავიწყება და მომავალი თაობებისთვის ამ ღირებულებების გადაცემა. ამავე დროს, იგი ახალგაზრდობას მოტივაციას აძლევს სიახლის შემოსატანად. მომწონს და მივესალმები ყველა ასეთ ღონისძიებას.

- ასეთი ღონისძიებები რამდენად უწყობს ხელს მიგრაციის პროცესის შეჩერებას?

- სამწუხაროდ, ბოლო ორი-სამი ათეული წელია, როგორც მთიან აჭარაში, ასევე ჩემს სოფელში, გააქტიურებულია მიგრაციის პროცესი. სოფლის საშუალო სკოლაში მხოლოდ 25 მოსწავლეა, მაშინ, როცა ჩემი ამ სკოლაში სწავლის პერიოდში (70-იან წლებში) 180-მდე მოსწავლე იყო. „დარჩიძეებობაზე“ სოფლიდან სხვა რეგიონებში გადასული ადგილობრივების დიდი უმრავლესობა იკრიბება, ხდება აზრთა გაცვლა, ერთმანეთის დარწმუნება, რომ უნდა დაუბრუნდნენ მამაპაპისეულ ადგილებს. მე, მაგალითად, 3 წლის წინ წამოვიწყე აქ სახლის მშენებლობა. მალევე გამომიჩნდა მიმბაძველი და აშენდა კიდევ ერთი სახლი, ნამდვილად ვიცი, რომ ორი დარჩიძეებელი ემზადება სახლის მშენებლობისთვის. ასე რომ, აღნიშნული ღონისძიება, დარწმუნებული ვარ, წაადგება საქმეს.

- მთიანი სოფლების შენარჩუნებისთვის რა მოსაზრებას შემოგვთავაზებთ?

- ვფიქრობ, სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი ეს უნდა იყოს. კიდევ უფრო დასახვეწია მაღალმთიანი სოფლების პროგრამა, უნდა იყოს მეტი შეღავათი და ხელშეწყობა იქ მცხოვრებთათვის. ურიგო არ იქნება ბიზნესის დაინტერესება სოფლის განვითარების კუთხით, ინფრასტრუქტურის გამართვა და უამრავი სხვა რამ. ყველა ვხედავთ, თუ რა შედეგი გამოიღო მთა ჩირუხში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებამ. ბოლო ორ წლიწადში იმდენი სახლი აშენდა, რამდენიც არ აშენებულა 4-5 ათეული წელია.

- მშობლიური კუთხისთვის გაწეულ ქველმოქმედებაზეც გვითხარით...

- არ ვაპირებ ამაზე საუბარს, ერთს ვიტყვი მხოლოდ: შესაძლებლობების ფარგლებში ვმონაწილეობ ყველა იმ ღონისძიებაში, საქმეში, რაც ჩემს კუთხეს წაადგება.

„კიდევ უფრო დასახვეწია მაღალმთიანი სოფლების პროგრამა, უნდა იყოს მეტი შეღავათი და ხელშეწყობა იქ მცხოვრებთათვის. ურიგო არ იქნება ბიზნესის დაინტერესება სოფლის განვითარების კუთხით, ინფრასტრუქტურის გამართვა და უამრავი სხვა რამ. ყველა ვხედავთ, თუ რა შედეგი გამოიღო მთა ჩირუხში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებამ. ბოლო ორი წლის განმავლობაში იმდენი სახლი აშენდა, რამდენიც არ აშენებულა 4-5 ათეული წელია“

ქრონიკა

მე-2 გვერდიდან

დაფინანსებით, დამატებით კიდევ 6 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რისთვისაც 25 მილიონ 900 000 ლარი დაიხარჯება. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2025 წლის აგვისტოში დასრულდება. მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ექვსივე ბაღი ექსპლუატაციაში 2025 სასწავლო წელს შევა და ჯამში 1400 აღსაზრდელს მოემსახურება. პარალელურად მიმდინარეობს პეტრე მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღის შენობის გამაგრების სამუშაოები, რომელიც დასრულების ეტაპზეა. სამუშაოებისთვის 2 მილიონ 459 977 ლარია გათვალისწინებული. 2026 წლამდე დასრულდება 3 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურად გარდაქმნის სამუშაოები, რისთვისაც 4 მილიონ 169 814 ევროა გათვალისწინებული. წელსვე დაიწყება დამატებით ორი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა ნიკო მუსხელიშვილის ქუჩასა და ივანე მესხის პირველ ჩიხში, რისთვისაც 10 763 601 ლარი დაიხარჯება. საბავშვო ბაღები ჯამში 360 აღსაზრდელზეა გათვლილი.

* * *

20, 21 და 22 ოქტომბერს მოსულმა თოვლმა სერიოზული ზარალი მიაყენა აჭარის მთიანეთის ეროვნულ მეურნეობას. ყველაზე მეტად 10 და 04-კილოვოლტიანი ელექტროანძები და ხაზები დაზიანდა. თითქმის 10 დღე უწყვეტ რეჟიმში მუშაობდნენ სააქციო საზოგადოება „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადგილობრივი, ქვეყნის სხვა რეგიონებიდან და თბილისიდან დასახმარებლად ჩამოსული სპეციალისტები. შუახევის მუნიციპალიტეტის შორეულ სოფელ ნაღვარევში 10-კილოვოლტიანი ანძებისა და ხაზების აღდგენას 3 დღე დასჭირდა. 29 ოქტომბრის საღამოს საათებში სოფელს დენი შეუფერხებლად მიეწოდა. დასახმარებლად ჩამოსულმა სპეციალისტებმა აჭარის მთიანეთი უკვე დატოვეს. როგორც „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აჭარის რეგიონის ხელმძღვანელები აცხადებენ, კიდევ რამდენიმე უბანი რჩება, სადაც 04-კილოვოლტიანი კაბელებია აღსადგენი. ეს სამუშაოებიც მალე დასრულდება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დიდი შრომა გასწიეს ადგილობრივმა სპეციალისტებმა, რაც მატერიალური წახალისებით უნდა დაფასდეს. კომპანიას საამისო მატერიალური შესაძლებლობა აქვს. თვითმმართველობის ადგილობრივი ხელმძღვანელები, მოსახლეობა და კოლეგები მადლობას უხდიან მოწვეულ სპეციალისტებს გაწეული თანადგომისთვის.

* * *

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის საფეხბურთო მოედანზე, საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში - „ბათუმის თასი“ დასრულდა. ტურნირი 2009 წელს დაბადებულთა (15 წლამდე ფეხბურთელთა) შორის 5 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. პირველობისთვის ბრძოლაში 8 გუნდი - „სპორტინგი“ (პორტუგალია), „ტრაბზონი“ (თურქეთი), „დინამო თბილისი“, „ლევანტე“ (ესპანეთი), „შახტარი“ (უკრაინა), „დინამო ბათუმი“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რუხისა და ქუთაისის აკადემიების გუნდები იყო ჩართული. საინტერესო და საკმაოდ დაძაბული აღმოჩნდა ტურნირის ფინალური მატჩი, სადაც ერთმანეთს „სპორტინგისა“ და „ლევანტეს“ ნაკრები გუნდები დაუპირისპირდნენ. ძირითადი დრო ფრედ 1:1 დასრულდა, პენალტების სერიაში კი პორტუგალიელებმა ესპანელებს 4:2 აჯობეს. მესამე ადგილისთვის მატჩში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აკადემიის გუნდებმა ითამაშეს. ქუთაისის აკადემიამ რუხის აკადემია ანგარიშით 3:0 დაამარცხა.

მოამზადა ხატია იაშვილმა

ნინო ლომიძე: რეალურად, უშბის პროტოტიპები ჩემი შვილები არიან

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ნინო ლომიძე ბათუმში დაიბადა. სასულიერო გიმნაზიის დასრულების შემდეგ, სწავლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გააგრძელა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. საბავშვო წიგნ „უშბის“ ავტორი სკოლა ვალდორფის მასწავლებელია. წელს პირველად მონაწილეობდა საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში „ზე-კართან“. მასთან ინტერვიუ მაშინ ჩავიწერეთ, როცა შუახევის მუნიციპალიტეტის უჩამბის სასოფლო ბიბლიოთეკას თბილისში შეგროვილი წიგნები საჩუქრად ჩამოუტანა

- ქალბატონო ნინო, რამ განაპირობა თქვენი ეს ქველმოქმედება?

- ფესტივალის „ზე-კართან“ მსვლელობისას უჩამბის ტერიტორიაზე, კერძოდ, რიკიხეთის უბანში ორგანიზატორებმა პიკნიკი მოაწყვეს. მომინდა, მადლიერების ნიშნად ამ მშვენიერი ადგილისთვის რაიმე გამეკეთებინა. ეს ფესტივალი არაჩვეულებრივი ინიციატივაა და ვახტანგ ბერიძეს დიდი მადლობა ამისთვის. მწამს, რომ საერთო იდეით განმსჭვალულ ადამიანებს საუკეთესო ცვლილებების განხორციელება შეუძლიათ. წიგნები ძვირფას საჩუქრად მიმაჩნია - მთელ სამყაროს, ახალ აღმოჩენებს, ახალ შთაბეჭდილებებს ჩუქნი ადამიანს.

- როგორ შეგხვდათ ადგილობრივი მოსახლეობა?

- მთიან აჭარაში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი და ყოველთვის გულს მითბობს ადგილობრივების სტუმართმოყვარეობა, გულითადობა. ამ ჯერზეც ბევრი რამ გასაოცარი იყო - ოქტომბრის ნაადრევი თოვლი, გზებზე შეფერხება... თუმცა უჩამბაში ასვლა მაინც მოვინდომეთ. ბოლო აღმართზე გვიმტყუნა მანქანამ. გასაოცარი იყო, როგორ სწრაფად ჩამოვიდნენ ბიბლიოთეკარი, მისი მეუღლე, როგორ თბილად შეგვხვდნენ ადგილობრივები. ტრაქტორისტი ცდილობდა ჩვენს დახმარებას, გამვლელებიც ჩაერთნენ საქმეში. ოქტომბრის იმ ცივ დღეს გულები გაგვითბო ამ თანადგომამ. წიგნები ადრესატს ჩაბარდა.

- საბავშვო მოთხრობების კრებულ „უშბის“ ავტორი ხართ...

- უშბა მთავარი გმირია. წიგნში ის ამბებია თავმოყრილი, მას და მის მეგობრებს რომ გადახდათ თავს. რეალურად, ეს ის საბავშვო სიტუაციებია, რომლებშიც ონავარი, ცელქი ბავშვები ხვდებიან ხოლმე. ცნობილია, რომ საბავშვო ამბებსა და ზღაპრებს აღმზრდელობითი, პედაგოგიური დანიშნულება აქვს. ბავშვები ამბების მეშვეობით ეცნობიან სამყაროს, სწავლობენ ემოციების ამოცნობას, სახელდებას, თავს წარმოიდგენენ სხვადასხვა სიტუაციაში, იწაფებიან...

- უშბა კავკასიონის ქედის მწვერვალია. ეს სახელი ძაღლსაც დაარქვით.

- სახელი ჩემმა შვილმა შეურჩია. ანომ ლეკვი თბილისში, სკვერში იპოვა და სახლში მოიყვანა. მას შემდეგ უშბა ჩვენი ოჯახის წევრი გახდა. ანას მშობლიური კუთხე მამის მხრიდან სვანეთია, ლეკვს კი შავ კუდზე, ლამაზი მწვერვალივით, თეთრად ჰქონდა სამკუთხედი დატოვებული. უშბა გაწვრთნილი და სანდო ძაღლია. ხშირად დავდივართ ხოლმე სკოლებსა და ბაღებში და ვხვდებით პატარა მკითხველებს. ბავშვებს მათთვის გასაგებ ენაზე ვუყვები ძაღლებთან ურთიერთობის შესახებ, ვასწავლი ძაღლების სხეულის ენას, იმას, როგორ უნდა მოვიქცეთ მათთან. უშბას ძალიან უყვარს თამაში, თვითონაც პატარა ბავშვივით ხარობს. ხშირად მიგზავნიან ბავშვები წერილებს, ხელნაკეთ ბარათებს, ზოგჯერ უშბას სწერენ. ეს ყველაფერი ფასდაუდებელია.



- ორი შვილის დედა, ცხოვრების მეგზური ნიდერლანდელი ჭაბუკი... როგორ შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში თომას ვან ჰემერტი?

- თომასი აჭარაში მოგზაურობისას გავიცანი, ამ მთებმა დაგვაახლოვა. მან - ფოტოპორტრეტების გადასაღებად, მე - დიალექტის ჩასაწერად ერთი კვირა გავატარეთ სამუშაო რეჟიმში და ძალიან დავახლოვდით.

- თომასი ქართული ენის შესწავლას თუ ცდილობს?

- მას კარგად ესმის ქართული, უკვე საუბრობს კიდეც. აქაურობა ძალიან უყვარს. ჩვენს ქვეყანას დიდ პატივს სცემს. ჩვენი მთიანეთის მკვლევარია. არა მარტო აჭარის, არამედ ეგრისის ქედისა და სვანეთის მთების კარგი მცოდნეა. მთელ თავისუფალ დროს მთებში ატარებს. არის გამოცდილი მოლაშქრე. აჭარის მთიანეთში მომავალ ზაფხულსაც ვგეგმავთ ექსპედიციას.

- სამეგრელოში, კერძოდ, წალენჯიხის რაიონის ერთ სოფელში აპირებთ დასახლებას. რა ადგილს იჭერს თქვენს ცხოვრებაში ქართული სოფელი?

- სოფლად ცხოვრება ჩემი და თომასის არჩევანია. ჩვენი კოხტა, მშვენიერი სამშობლო საოცრად მრავალფეროვანია. ხშირი ურთიერთობა გვაქვს სოფელთან, განსაკუთრებით გვხიბლავს სოფლად მცხოვრები ადამიანების გულითადობა. შრომა და გარჯა არ გვეზარება, გვინდა, ჩვენი კუთხე მოვაწყოთ და ადგილობრივი თემისთვის, ახალგაზრდებისთვის ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელოთ. თომასს, რასაკვირველია, თავის ოჯახსა და სამშობლოსთან მუდმივი კავშირი აქვს, მაგრამ სახლად აქაურობას მოიაზრებს.

- გსურთ, რომ ვალდორფის სკოლის მოსწავლეები შუახევის რაიონის რომელიმე სკოლის მოსწავლეებთან დაამეგობროთ?

- ვალდორფის სკოლას აქვს არაერთი სოციალური და სასოფლო-სამეურნეო პროექტი. ჩვენი სკოლის მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ სოფლებს, ეხმარებიან ადგილობრივებს სამიწათმოქმედო საქმიანობაში. გვაქვს სოციალური პროექტებიც. ჩვენი სკოლის მასწავლებლები გამოირჩევიან სიახლეების მიმღებლობით. აუცილებლად დაველაპარაკები კოლეგებს, შევარჩევთ დროს და მოვიფიქრებთ, რა ფორმით შეგვეძლება სკოლების დამეგობრება.

- ახლა რა წიგნზე მუშაობთ?

- ამჯერად „უშბის“ მეორე ნაწილზე ვმუშაობ. არის თემები, რომლებსაც მინდა მეორე ნაწილში შევეხო.

- სკოლა, აღსაზრდელები რამდენად გეხმარებიან საქველმოქმედო საქმიანობაში?

- უჩამბის სკოლისთვის წიგნებს რომ ვაგროვებდი, ჩემი ყოფილი მოსწავლე ელენე ქევხიშვილი გამომეხმაურა. მან თავი მოუყარა წიგნებს და გადმომცა. ჩვენი კურსდამთავრებულებისა და მოსწავლეების იმედი სულ მაქვს. კარგი ახალგაზრდები მოდიან, ისეთები, ილია „ახლებს“ რომ უწოდებდა. მჯერა, კარგი მოქალაქეები და ქვეყნის გულშემატკივრები გაიზრდებიან.

- ყველა დედა ცდილობს, შვილებს ცხოვრების დიდ გზაზე გვერდით დაუდგეს. სტუდენტი ვაჟი და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული ქალიშვილი თქვენს დარიგებას რამდენად ითვალისწინებენ?

- ჩემთვის უმთავრესი ისაა, რომ ორივემ იცის - თუ დასჭირდათ ჩემი მხარდაჭერა, თანადგომა, უპირობოდ მათთან და მათკენ ვიქნები. ორივე ზრდასრულია, ზედმეტი დარიგებებით არ ვაწუხებ. მოსმენისა და მხარდაჭერისთვის კი მუდამ მზად ვარ.

- როგორც საბავშვო მწერალს, თუ გიფიქრიათ, შვილებზეც დაგეწერათ მხატვრული ნაწარმოები?

- რეალურად, უშბის პროტოტიპები სწორედ ჩემი შვილები არიან. უშბა წიგნში სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში ვარდება - ხან მეგობართან აქვს კონფლიქტი, ხან დაცინვის ობიექტია და ცდილობს გამკლავებას, ხან მარტო რჩება, დედის გარეშე და ძალიან განიცდის... ყველა ეს ამბავი ჩემი შვილების ბავშვობიდანაა აღებული.

- რომელია მთავარი: გიყვარდეს თუ უყვარდე?

- ვფიქრობ, ეს ორმხრივი და ურთიერთგამომდინარეა. სიყვარული ის გრძნობაა, რომელსაც მთელი არსებით ითავისებ, განიცდი. ასეთივე მძლავრია ეს განცდა, როცა უყვარხარ. ურთიერთშემავსებელი და ყოვლისმომცველი გრძნობაა.

- ცხოვრების გზაზე ბოროტებაც იჩენს ხოლმე თავს. მას კალმით პასუხობთ თუ...

- პირველი რეაქცია გახევებაა, შემდეგ ვახერხებ სხეულის მომართვას, მოჭიმვას და სავალი გზაც იკვეთება. დაბრკოლებებისა და ნეგატივის არ მეშინია. მჯერა, ყველაფერთან გამკლავებას შევძლებ. ვიცი, რომ არ ვარ მარტო და ზურგს მიმაგრებენ ჩემი ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლობლები. ამ ერთობისა და სიკეთის გამარჯვების მწამს, კიდევ იმის, რაც დიდმა რუსთაველმა თქვა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

> *„სოფლად ცხოვრება ჩემი და თომასის არჩევანია. ჩვენი კოხტა, მშვენიერი სამშობლო საოცრად მრავალფეროვანია. ხშირი ურთიერთობა გვაქვს სოფელთან, განსაკუთრებით გვხიბლავს სოფლად მცხოვრები ადამიანების გულითადობა. შრომა და გარჯა არ გვეზარება, გვინდა, ჩვენი კუთხე მოვაწყოთ და ადგილობრივი თემისთვის, ახალგაზრდებისთვის ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელოთ*

მმართველი პარტიის გამარჯვება, ოპოზიციის ულტიმატუმი და დასავლეთის შეფასებები...

მე-2 გვერდიდან

ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ „ოცნება“ მაქსიმალურად ცდილობდა, არ დაეთმო ხელისუფლება, დღეს კი ვხედავთ, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა არის ხალხის მხარეს და ისიც დავინახეთ, თუ რამდენი ადამიანი გამოვიდა პრეზიდენტის მიერ დაანონსებულ აქციაზე. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ქართველი ხალხი არის გაბრაზებული და იმედგაცრუებული. ახლა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, ხელახლა ჩატარდეს საქართველოში არჩევნები, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაატარებენ და რომელიც იქნება დემოკრატიული. ეს ბრძოლა უნდა მივიყვანოთ ბოლომდე და უნდა გავხდეთ ევროკავშირის წევრი, რადგან ჩვენი მომავალი ევროპულ ოჯახშია.

აკაკი გვიანიძე, „გახარია საქართველოსთვის“:

- ეს არჩევნები არ გამოხატავს საქართველოს მოსახლეობის ნებას. უმძიმესმა საარჩევნო გარემომ და არჩევნების დღის დარღვევებმა, ანუ მოსყიდვებმა, დაშინებამ, საჯარო მოხელეებზე ძალადობამ და ჩამორთმეული პირადობებით უპრეცედენტო მანიპულაციებმა შეუძლებელი გახადა რეალური შედეგების მიღება. ჩვენი პოლიტიკური გუნდი არ მისცემს არალეგიტიმურ პარლამენტს ლეგიტიმაციას.

თემურ გორგაძე, „გირჩი - მეტი თავისუფლება“:

- ვამბობდი, რომ ქართველი ხალხი არჩევნების სტანდარტული კლასიკური გაყალბებებისთვის მზად ვიყავით, ოღონდ არჩევნების მოპარვისთვის - არა. ჩემი აზრით, ამას რუსული სპეცოპერაცია ეწოდება. 26 ოქტომბრის არჩევნები იყოფა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი არის დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე, არჩევნების დღეს მიმდინარე პროცესები, სადაც ისეთი ტიპის გაყალბებები იყო, უკვე 30 წელია, მიჩვეული რომ ვართ. მაგალითად: უბნების წინ მანქანების დგომა, ამომრჩევლებთან ძველი ბიჭების გასაუბრება, ფულის აღება და მერე უბნებზე შესვლა და ასე შემდეგ. რაც შეეხება მეორე ნაწილს, როცა არჩევნების დღე დასრულდა, მაშინ მივხვდით, რომ არჩევნები წინასწარ გაყალბდა. ანუ ყველაფერი თამაში იყო და თავიდანვე იყო გაყალბებული. ხშირად მეკითხებიან, თუ რა მაძლევს ამის თქმის საფუძველს. რეალურად ამის ბევრი მტკიცებულება არის, რაც ნელა-ნელა გამოაშკარავდება. რუსეთმა სპეცოპერაცია ჩაატარა ამერიკაში, ჩაერია ამერიკის არჩევნებში და აშშმა თვეების შემდეგ გაიგო, რომ რუსეთი იყო ჩარეული ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნებში. ახლა ვინც მთხოვს, რუსული სპეცოპერაციის ფაქტები სამ დღეში გავშიფრო, ვფიქრობ, არაადეკვატურია. გარეთ რომ გავიდეთ და პირველივე შემხვედრ 10 ადამიანს ვკითხოთ, ვის უჭერს მხარს, თუ ამ 10 ადამიანიდან 5 გვეტყვის, რომ მმართველი პარტიის მხარდამჭერია, ჩავთვლით, რომ არჩევნები სწორად ჩატარებულა. ვფიქრობ, ქართულ ოპოზიციას მოსახლეობისთვის ბოდიში გვაქვს მოსახდელი, რადგან წინასწარ ვერ გავიგეთ, საქართველოში რუსული სპეცოპერაცია რომ მიმდინარეობდა.

შეგახსენებთ, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 060 412-მა ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა მთლიანი რაოდენობის 58,94%-ია. ოპოზიცია, ამ ეტაპზე, უარს აცხადებს პარლამენტში შესვლაზე და გეგმას აყალიბებს, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს ბრძოლა. რაც შეეხება საპარლამენტო მანდატების გადანაწილებას, ის ასე გამოიყურება: „ქართული ოცნება“ - 89, „კოალიცია ცვლილებისთვის“ - 19, „ნაციონალური მოძრაობა“ - 16, „ძლიერი საქართველო“ - 14, „გახარია საქართველოსთვის“ - 12.

თავბრუდამხვევი შთაბეჭდილებებით დატვირთული ცხრა დღე – ბრიტანეთში და თოჯინა, რომელიც ჯონ ჰენშალს საკუთარ თავზე მეტად ჰგავს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი სტუმარია ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, მოყვარული ფოტოგრაფი, თვითნასწავლი მეთოჯინე, ხელნაკეთი თოჯინების საწარმოს „Toy Art Boutique“ დამფუძნებელი ***მარეხ ტუღუში****. ის პროექტის „პიარი და ფოტოგრაფიის როლი საზოგადოებასთან ურთიერთობაში“ ფარგლებში, ცხრა დღით დიდ ბრიტანეთში, როგორც ამბობს, რეზიდენტურა-მასტერკლასზე იმყოფებოდა. ამ ინტერვიუში მარეხი თავის შთაბეჭდილებებზე გვესაუბრება.*

- მარეხ, გვიამბეთ თქვენზე...

- მეოცნებე ქალის ლაპარაკს არ მინდა ჰგავდეს ჩემი საუბარი, მაგრამ ფაქტია, დამიგროვდა გამოცდილება და შემიძლია ვთქვა, რომ არა უშავს, ბევრჯერ თუ დაუმსახურებლად გატკენენ გულს, სამაგიეროდ, ვიღაცები აუცილებლად გაგახარებენ. მნიშვნელოვანია, რომ არჩეულ გზას არ გადაუხვიო და თავს არ უღალატო, დანარჩენი თავისით ლაგდება, ხშირად - წარმოუდგენლად კარგადაც. სხვადასხვა სამსახურის გამოცვლის შემდეგ თავი თეატრში ვიპოვე, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა მენტალური განვითარებისთვის ბავშვობიდან ყველაზე საჭირო წინაპირობად მიმაჩნია. ასე ხდება, როცა დედა განათლების ღირებულებას გასწავლის. არასამთავრობო ორგანიზაცია „სიქას“, უშუალოდ გიორგი თვალიაშვილის წყალობით, EVS პროგრამით თერთმეტთვიანი მოხალისეობა პოლონეთში, ჩემი, როგორც არაფორმალური განათლების ტრენერის, ცხოვრების ერთ-ერთი გარდამტეხი ეტაპია ცხოვრებაში. უცხოეთში ცხოვრება სულ სხვა, ფუნდამენტური გამოცდილებაა. ვგულისხმობ საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას და რა მაგარია, რომ საერთაშორისო პროექტებს უკვე თავად ვუწევ ორგანიზებას. პროფესიით საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტი, ბედნიერი ვარ, რომ მოვახერხე, არჩეული პროფესია კულტურის, კერძოდ, კი თეატრის სამსახურში ჩამეყენებინა. თავს მაქსიმუმს ვთხოვ, სხვებისგანაც იმავეს ვითხოვ და ამიტომაც დიდად ვერ არიან აღფრთოვანებული ჩემი მითითება-შენიშვნა-მოთხოვნებით... მაგრამ ჩვენ ხომ შედეგსა და მომავალზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულნი. მაშ, რატომ ვართ ყოველთვის საქმის გამოსწორება-მოგვარებაში?! ეს აფერხებს მიზნის მიღწევას.

- ბრიტანეთში გატარებულ ცხრა დღეზე მოგვიყევით...

- დიდ ბრიტანეთში, კერძოდ, ინგლისში, ქალაქებში - ლონდონსა და სვინდონში, კუნძულ უაიტსა და ულამაზეს სოფელ ვანბერაში მასტერკლასი, ჩემი აზრით, რეზიდენტურის ტოლფასია. ჩემი მასპინძელი, ბრიტანეთში მიმწვევი და პროექტის სრულად ფინანსური მხარდამჭერი - ჯონ ჰენშალი ბრიტანეთის ტელეოპერატორთა გილდიის საპატიო პრეზიდენტი, ტელევიზიის გამნათებელთა და დიზაინერების კავშირის საპატიო წევრი, მწერალი, BBC-ის ოპერატორი, ბრიტანეთის სამეფო ოჯახის ფოტოგრაფი გახლდათ. ვთვლი, რომ მასთან უბრალო საუბარიც მასტერკლასია. იგი შარშან კინოოპერატორების ფესტივალზე „ოქროს თვალი“ გავიცანი, სადაც ჩვენი თეატრის დირექტორი იმედა თავდგირიძე ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ და ფესტივალის ამჟამინდელმა დირექტორმა თამარ გუდავამ მეც მიმიწვია. ყოველთვის მადლიერი ვიქნები ორივესი, რადგან ფესტივალზე მიწვევა ასეთი ბრიტანული თავგადასავლით გაგრძელდა. თავიდან ცოტა დავფრთხი, ასე არ ხდება-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში იმდენი სასწაული მომხდარა... მომავლის ქვეყანაა ბრიტანეთი. იქ მეორედ ვიყავი და როგორც ყველა სხვა ქვეყანაში ვიზიტისას, აქ ნანახი პროფესიული სტანდარტები, საქმიანობის მოდელი, ცხოვრების სტილი და ხარისხიც, შეძენილი უნარებიც ჩემს ქალაქს მინდა მოვახმარო. მოკლედ, ერთი კვირის განმავლობაში ჯონ ჰენშალმა ისეთი ადგილები მომატარა, ისეთი ადამიანები გამაცნო, ოცნებაშიც ვერ წარმოვიდგენდი. ხშირად გვსმენია, რომ მოგზაურობა სულს კვებავს, ასეა, თუმცა ეს მხოლოდ მოგზაურობა კი არა, თვალსაწიერის გაფართოების ერთი კვირა იყო ჩემთვის, ჯონ ჰენშალი კი მაინც წუხდა, ვერაფერი მოვასწარითო. ცხადია, ჩემი თვალებით არ უყურებდა მოვლენა-პროცესებს. მისი წყალობით, ლონდონში, ტელევიზიის გამნათებლებისა და დიზაინის კავშირის 50 წლის იუბილეზე სასწაული ადამიანები გავიცანი. ეს იყო საერთაშორისო პროექტი, რომელში მონაწილეობისთვის სხვადასხვა ქვეყნის 54 წარმომადგენელი იყო მიწვეული. შევხვდი ჯონ ფარსა და ჯონ ვოთს, რომლებიც ერთ დროს ჯონ ჰენშალთან ერთად ბიბის-ის ამინდს ქმნიდნენ, ასევე, ტომ საზერლენდს, რომელიც საშემსრულებლო ხელოვნებაში შერის, ქეითი ფერის, ვიქტორია სეკრეტის, ემინემის და სხვა ვარსკვლავების კონცერტებზე წარმოუდგენელ ეფექტებს ქმნის, ასევე, ნაიჯელ ქეთმურს, რომელიც სატელევიზიო შემოქმედებითი თუ გასართობი ლაივგადაცემების განათების ერთ-ერთი წამყვანი რეჟისორია, ბერნი დევის, რომელმაც ორგანიზება გაუწია ბრიტანეთის დედოფლის კორონაციას და ბრიტანეთის ტელევიზიის გამნათებლების და დიზაინერების კავშირის ხელმძღვანელია. შევხვდი განათების ერთ-ერთ პირველ ოპერატორ ქალებს ბრიტანეთში - ალექსანდრა მოსქროფ ბრაუნსა და გერმანელ კაროლინა შმიდტს, მოვისმინე მათი კარიერული გზის ისტორია, მათი გამოწვევების, სირთულეებისა და გზაჯვარედინების შესახებ, რაც წარმატებული ადამიანების ცხოვრებას ახლავს. განა ეს ცოტაა?! შთაგონების წყარო და მაგალითია ჩემთვის თითოეული ადამიანი, ვინც ცხოვრებაში შემხვდება. ჯონი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფოტოგრაფია და მისი შეფასება, რომ კარგი ხედვა მაქვს, ჩემთვის არ არის ცოტა. მისგან ასეთი პატივი, რომ მიმიწვია და თავის სამყაროს მაზიარა, რომ ვმეგობრობთ, საოცნებო უნდა ყოფილიყო ჩემთვის. არაერთხელ ისიც კი მითხრა, რომ ძალიან ვგავართ ერთმანეთს. მეტი რა უნდა მინდოდეს ამ პროექტისგან, რომელსაც, როგორც გითხარით, რეზიდენტურის ფასი აქვს? ინგლისში მოგზაურობისას, ცხადია, ფოტოგრაფიას მთავარი ადგილი ეჭირა - მიყვარს წამის გაჩერება და დამახსოვრება, არასდროს მყოფნის მობილურის მეხსიერება. საზოგადოებასთან ურთიერთობა და ფოტოგრაფია ისეთი განუყოფელია, როგორც მოძრაობით ლაპარაკი. ასე, უბრალოდ, უხმოდ შეგიძლია ფოტოთი და ქმედებით მოყვე ამბავს.

ჯონ ჰენშალის ფოტო

- ალბათ ამ ბრიტანულ თავგადასავალს თეატრისთვის საკეთილდღეო კავშირებისთვისაც გამოიყენებთ?

- რა თქმა უნდა, დაგეგმილი იყო შეხვედრა ერთ-ერთ ლეგენდარულ მეთოჯინე ნაიჯელ პლასქეტთან, რომელიც სატელევიზიო „მაპეტ შოუს“ უძღვებოდა, ვწუხვარ, რომ ხელი შეგვშალა, თუმცა უკვე კარგია, რომ მან ბათუმის საერთაშორისო თოჯინების თეატრალური ფესტივალის შესახებ იცის და ვნახოთ, როგორ ვითანამშრომლებთ. კუნძული უაიტი ვახსენე, იქ ჯონ ჰენშალის მეგობარი ფოტოგრაფი პიტერი ცხოვრობს საოცარ, ნამდვილი ბრიტანული გარეგნობის მეუღლე ქეროლაინთან ერთად. პიტერის მამის - ქლიფორდ მეთიუს 70 წლის წინანდელი თოჯინების თეატრი ვნახეთ, ერთ დროს სახლის სხვენში მოწყობილი თეატრი, რომელსაც ახლა მტვერი ადევს... უნიკალური ხელნაკეთი ხის თოჯინებით, იგი პატარა მობილური სცენიდან როგორც კუნძულის, ისე ბრიტანეთის სხვადასხვა ადგილას მცხოვრებ პატარებს ახარებდა. მოგზაურობდა, როგორც ერთი კაცის თეატრი, თუმცა მითხრეს, რომ ზოგჯერ ვაუებიც დაჰყვებოდნენ მამას და ეხმარებოდნენ წარმოდგენების გამართვაში. ახლა შთამომავლობა შორსაა თეატრისგან, მაგრამ ეს ამბავი მეთიუსების ოჯახის ისტორიაა. შთამბეჭდავი ის იყო ამ თოჯინებში, რომ ხელთათმანი-თოჯინის პრინციპზე აგებული ორი თოჯინის ტრანსფორმირება წამში ხდებოდა. 70 წლის წინანდელ ინგლისზეა საუბარი, მეთოჯინის ხელოვნებაში გენიალური სიმარტივის პრინციპი ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევს. ორმაგად ვცემ პატივს მათ, ვინც ქმნის და პერფორმირებს თოჯინით, ანუ ის ჩონჩხიდან სულის შთაბერვამდე გრძნობს თოჯინას.

- თვითნასწავლი მეთოჯინე ხართ, როდის შეიქმნა თქვენი სახელოსნო?

- ჩემი „თოიარტი“ (Toy Art Boutique) 2018 წლიდან არსებობს, თუმცა ბევრმა დღესაც არ იცის, რომ თვითნასწავლი მეთოჯინე ვარ. გამოდის, რომ საკუთარი თავისთვის ცუდი პიარმენეჯერი გამოვდექი, იმ მეწაღის ამბავივითაა, რომ ამბობენ, - ფეხშიშველა დადისო (იცინის). მე თეატრში საკეთებელი და ნაკეთები საქმე მიყვარს და ასე მიყვარს ჩემი პირმშო „თოიარტი“, რომელსაც ადამიანების გაღიმება და უხილავი პოზიტიური ძაფების გაბმა შეუძლია. 2018 წლიდან დღემდე აქ ალბათ 600-მდე თოჯინაა შექმნილი და პატრონებს ჰყავთ ოჯახებში, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ჩვენი სახელოსნოს ფუნქციონირებისას დამკვეთები ვიდეოებს გვიგზავნიდნენ, როგორ ხვდებოდა მინიმოდელი „ორიგინალს“, ეს ძალიან ემოციური მომენტებია, რადგან მათი ღიმილის და ბედნიერების მიზეზი ხარ. „თოიარტში“ აღარავინ დამრჩა, საწარმოს დახურვის შემდეგ ყველაფერს მე ვქმნიდი, ახლა კი, უკვე 1 წელია, თოჯინის ტანსაცმელს ანა ხალვაში, ხელმარჯვე დიზაინერი გოგონა ქმნის, რომელიც ერთ-ერთ ვორქშოპზე გავიცანი და ბედნიერი ვარ, რომ დამთანხმდა თანამშრომლობაზე.

- როგორც ვიცით, ჯონ ჰენშალსაც ჩაუტანეთ და აჩუქეთ მისი პატარა თოჯინური ვერსია.

- დიახ, ვამბობ, რომ ბევრი ემოცია მიმიღია, მაგრამ არავის ასეთი ნამდვილი და ცრემლებამდე ბედნიერების განცდა არ ჰქონია. საკმაოდ ვღელავდი, სანამ ჩემს ხელნაკეთ თოჯინას გადავცემდი. მან თქვა, ჩემს თავზე მეტად მგავს და ამას გენიალურს ვუწოდებო, არ მჯერა, რომ ამდენი დრო დამითმეო. წაიყვანა ყველგან, აჩვენა ყველას და თუ მანამდე მხოლოდ ლამაზი მენეჯერი გოგო მერქვა, ამჯერად აღფრთოვანდნენ, ასეთი ტალანტი გქონიაო. არც კი მჯერა, ხელიდან ხელში გადადიოდა თოჯინა და ირგვლივ მხოლოდ პოზიტივს იწვევდა. ჯონს ვეხუმრებოდი, რა თქმა უნდა, ერთი ჯონ ჰენშალი არ არის საკმარისი-მეთქი.

- კიდევ რა შთაბეჭდილებებს გაიხსენებდით ბრიტანეთიდან?

- პატარა, ულამაზესი სოფელი ვანბერა, საოცარი ადამიანებით: ესტელი, ულამაზესი გოგო ჯესი, „ჰაროუ პაბის“ საოცარი წყვილი - რიჩარდი და შარლოტა, განუყრელი მეგობარი ჯონი და რეი... ჯონი, რომელმაც ვიერა შემარქვა (თურმე ასე მხოლოდ გამორჩეულ ქალბატონებს მიმართავდნენ ადრე), ჩემი მეგობარი პოლონელი ძაღლი ზენგი... რა საოცარია ცხოვრება - ერთი ჩვეულებრივი სამასტერკლასო კვირა ერთ-ერთ გარდამტეხ ეტაპად იქცა ჩემს ცხოვრებაში. ჯონმა არაერთხელ მითხრა, რომ ჩემს ხელნაკეთ თოჯინასთან ერთად, თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში უნდა შემიყვანოს. არ ვიცი, მეტი რა უნდა მიმეღო ამ ბრიტანული ვოიაჟიდან. ლონდონში გამართულ ტელევიზიის გამნათებლებისა და დიზაინერთა კავშირს 50 წლის იუბილეზე განათების რეჟისორმა ტომმა თქვა და უნდა გავიმეორო, რომ მნიშვნელოვანია, რა და ვინ გვინდა იყოს ჩვენ ირგვლივ, ყოველდღიური სამუშაოს გამო ზოგჯერ შეიძლება საერთოდ აღარ გვეძინოს, მაგრამ უნდა გავიაზროთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენ - ადამიანები უნდა ვიყოთ. სულ ვამბობ, საკუთარ ცხოვრებაში მთავარ როლს თავად თუ არ შეასრულებ, აბა, სხვა ვინ? ბევრი ახალი იდეით, ემოციით, გამოცდილებით, შთაბეჭდილებით დავბრუნდი და ჯონმა ნამდვილად განსაკუთრებული ეტაპი შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში. რა მაგარია, როცა გამჩნევენ, გხედავენ, მხარს გიჭერენ და გეხმარებიან, ალბათ არც კი იცის, საჭირო დროს, საჭირო ადგილას რა მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ჩემში, - გვითხრა მარეხ ტუღუშმა.

საგაზეთო კომენტარი მარეხის შუამავლობით ჯონ ჰენშალსაც ვთხოვეთ.

- საქართველოს შესახებ მაშინ გავიგე, როცა თბილისში ოპერატორების ფესტივალი „ოქროს თვალი“ დაარსდა და მიმიწვიეს. ალბათ, ჯამში, 12 სეზონია, რაც მხარს ვუჭერ ამ ფესტივალს. შარშან, 2023 წლის ოქტომბერში, ფესტივალმა ბათუმში გადაინაცვლა. სწორედ აქ შევხვდი მარეხს. ჩვენ ძალიან ბევრი ვისაუბრეთ დაჯილდოების ცერემონიაზე, ბევრი საერთო აზრი, შეხედულება აღმოგვაჩნდა, მათ შორის მსოფლმხედველობაში მნიშვნელოვანი თანხვედრა გვქონდა. მის მიმართ ემპათია გამიჩნდა და ბათუმშივე გადავწყვიტე, რომ ინგლისში მიმეწვია. როგორც ჩანს, არჩეულ პროფესიაში ყოჩაღია. მის მიწვევას ახალი თაობის მხარდაჭერას ვარქმევ, პროფესიულ საქმიანობაში დაოსტატებასთან ერთად მინდოდა, რომ მარეხი ბრიტანეთის კულტურას უკეთ გაცნობოდა. ჩვენ ერთად მოვიფიქრეთ პროექტი - „პიარი და ფოტოგრაფიის როლი საზოგადოებასთან ურთიერთობაში“, 20 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით გავწერეთ პროგრამა, რომელიც როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ კულტურულ-შემეცნებით ტურს მოიცავდა. საქართველოდან პირველ პრაქტიკანტს ვუმასპინძლე. ამ პერიოდში აღმოვაჩინე, რომ მაქსიმალისტია და სწორედ ეს მომწონს. ჩვენ ცხრა დღის განმავლობაში რამდენიმე ქალაქი მოვიარეთ და სხვადასხვა გარემოში კარგად გამოჩნდა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რას აკეთებს - მეგობრულ გარემოში საუბრობს, საქმიანი მიმოწერა აქვს, ოჯახთან ურთიერთობს თუ საუზმეს ამზადებს, ყველაფერში მაქსიმუმს დებს და მოლოდინიც შესაბამისი აქვს. რეკომენდაციასავით გამომდის ხომ? (იცინის). მიხარია, რომ მოვიწვიე. ახლა, როგორც ფოტოგრაფმა, ესეც უნდა აღვნიშნო - ძალიან კრეატიული თვალი აქვს, მისი რამდენიმე ფოტოკადრი მეყო დასკვნის გასაკეთებლად. ძალიან მნიშვნელოვანია საქმისადმი სწორი დამოკიდებულება. უნდა ვთქვა, რომ ერთნაირი ხასიათიც აღმოგვაჩნდა, ალბათ მის ასაკში მეც ასეთი ვიყავი. ძალიან გამიხარდა, ჩემი ორეული თოჯინა რომ ჩამომიყვანა. რა თქმა უნდა, ვიცოდი თოჯინების თეატრში რომ მუშაობდა, ისიც ვიცოდი, რომ სახელოსნო ჰქონდა ადრე, მაგრამ ისეთი მოულოდნელი იყო, ტრადიციულ ქართულ ნობათთან ერთად ჯონ ჰენშალის ორეული რომ ჩამოიყვანა, ძალიან

> ***„ერთ-ერთ გასართობ ტელეგადაცემასთან ვთანამშრომლობდი, იუმორისტულ შოუს ვქმნიდით თოჯინებით, „Spitting image“ - ასე ერქვა. ვაშარჟებდით გამოჩენილ ადამიანებს და ჩემი ორეულის შექმნა სცადა შემოქმედებითმა ჯგუფმა, მაგრამ მხოლოდ ჩემი ტანსაცმელი შეიძლებოდა მეცნო იმ მოდელში, ამ თოჯინამ კი საჩუქრის გახსნისთანავე იმხელა ემოცია მომიტანა! სწორედ ისეთი რამაა, რასაც გენიალურს ვუწოდებ***

იხ. მე-9 გვ.

„ყველა ემიგრანტი თავისი სამშობლოა სხვა ქვეყანაში“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ჩვენმა თანამემამულემ, ამჟამად ამერიკაში მცხოვრებმა მწერალმა ***ნათია ხაღურმა*** *მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია - გაიმარჯვა ამერიკის ლიტერატურულ კონკურსში. მისმა წიგნებმა „იერუსალიმამდე“ და „ჯარისკაცის საგზალი“ თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ნომინაციაში გაიმარჯვა. ვულოცავთ ქალბატონ ნათიას ამ დიდ მიღწევას და გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.*

- გილოცავთ მნიშვნელოვან გამარჯვებას ამერიკის ლიტერატურულ კონკურსში.

- უდიდესი მადლობა თქვენ, რომ ყოველთვის პირველები ეხმიანებით ჩემი შემოქმედების სიახლეებს. ამ პროექტში გამარჯვებამ გამართულად დამაყენა შემოქმედებით საქმიანობაში იმ რელსებზე, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებოდი.

- თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ნომინაციაში თქვენ გარდა კიდევ ვინ გამოცხადდა გამარჯვებულად?

- 80-მდე კატეგორიაა და გამარჯვებულებიც შესაბამისად, თუმცა ალბათ თავად დაჯილდოების ღონისძიებაზე შევხვდები ბევრ ცნობილ თუ დამწყებ მწერალს და არა მხოლოდ მწერალს. როგორც დაანონსდა, ღონისძიებას დაესწრება ამ საქმის მრავალი სპეციალისტი.

- როდის და სად გაიმართება დაჯილდოების ცერემონია? მოლოდინი და განწყობა, რომელიც დაგეუფლათ...

- ორ ნოემბერს არიზონის შტატის ქალაქ ფინიქსში გაიმართება და განწყობა, რომელიც დამეუფლა, ერთბაშად იყო აღფრთოვანებისა და უდიდესი პასუხისმგებლობის განცდის შემცველი. ძალიან დიდი სიხარული მომიტანა ამ ყველაფერმა. საგულდაგულოდ ვემზადები.

- როგორც გაცხადდა, სხვა კონკურსებშიც მონაწილეობთ. რა წარადგინეთ საკონკურსოდ?

- დიახ და თანაბრად გადავანაწილე „ჯარისკაცის საგზალი“ და „იერუსალიმამდე“, რადგან ყველა კონკურსი ინგლისურენოვანი წიგნის მონაწილეობას მავალდებულებს.

- ასეთ დიდ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლა და დამკვიდრება იოლი არ იქნებოდა...

- გეტყვით, რომ - ძალიან იოლი. ინტერნეტის საშუალებით გავიგე ამ კონკურსების შესახებ და, უბრალოდ, დავარეგისტრირე ჩემი რომანები. არ მიფიქრია, რომელ კონკურსში რომელ რომანს ვდებდი. ჯერჯერობით ყველა კონკურსმა, რომელმაც შედეგები გამოაცხადა. დადებითი პასუხი მითხრა, დანარჩენი ვნახოთ.

- რით განსხვავდება ქართული და ამერიკული ლიტერატურული კონკურსები ერთმანეთისაგან? რა გამოცდილების გაზიარებას ისურვებდით საქართველოში?

- ისევე შეაფასონ ნაწარმოები, როგორც ამას ამერიკელები აკეთებენ. არ იცოდნენ, ავტორი ვისი დეიდაშვილი ან მამიდაშვილია! სხვათა შორის, ამან აღმაფრთოვანა, რომ წარმოდგენა არ აქვთ, ვინ ვარ ან, საერთოდაც, ვინ ვარ მათთვის?! აი, კონკურსი!!! უფრო დეტალურად კი მას შემდეგ მოგითხრობთ, როდესაც უკვე პრაქტიკულ გამოცდილებასაც მივიღებ. ფიზიკურად დასწრებას ვგულისხმობ.

- სამომავლო მიზნები და პროექტებიც გაგვაცანით...

- ძალიან ბევრი - ღმერთის წყალობით. ხვალ-ზეგ გვექნება უკვე ჩემი პირველი რომანის ინგლისური ვერსია და, ასევე, ჩემი პოეზია ინგლისურად. ეს - უახლოესი დღეების გეგმა. ასევე, ვგეგმავ წიგნის ყველა ფესტივალში მონაწილეობას, რომელიც თითქმის ყოველ თვე სხვადასხვა შტატში ტარდება. ვგეგმავ ჟანრის გამრავალფეროვნებას ავტობიოგრაფიული, საბავშვო ნაწარმოებებით და, შესაძლოა, პიესა-სონეტებითაც.

- ნიუ-იორკი - ამ ქალაქში ცხოვრებამ რა დაგანახათ და რამ დაგაფიქრათ?

- სიმართლე გითხრათ, არ ვაკვირდები ამ ქალაქის ცხოვრების წესს, რადგან ჩემი ცხოვრების წესი განსაზღვრა ღმერთის სიყვარულმა. ეს არის ქალაქი, სადაც მძინარემაც უნდა ირბინო, მე კი მშვიდი ცხოვრება მინდა. მოკლედ, გააჩნია, შენ რა გსურს ამ ქალაქისგან. არ მსურს, საშოვარს გადავეგო. უბრალოდ, უბრალო ცხოვრება მინდა.

- ის ქართველი ემიგრანტები გაგვაცანით, რომლებიც ჩვენს სამშობლოს კარგად წარმოაჩენენ.

- მართალს ბრძანებთ, ყველა ემიგრანტი თავისი სამშობლოა სხვა ქვეყანაში და იმდენმა ქართველმა ემიგრანტმა გაამშვენიერა ეს ბუმბერაზი ნიუ-იორკი, რომ ნამდვილად ყველაზე ვერ გიამბობთ ახლა, რადგან ასობით ადამიანზე მომიწევს საუბარი და თუ გნებავთ, წიგნს დაგიწერთ.

- ციფრული რეალობა და მწერლობა - ამერიკაში...

- ციფრულ რეალობას, როგორც საქართველოში, ამერიკაშიც აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითი ვიცით ყველამ. უარყოფითი, მაგალითად, ჩემი „იერუსალიმამდე“ ისე დამეტანჯა, მართლა მეცოდება საკუთარი თავიც და ისიც. ზუსტად, მესამედ ვაქვეყნებ ახლა ამაზონზე, რაც იმას ნიშნავს, რომ დავკარგე კონკრეტული თანხაც, რომ ამერიკულმა გამომცემლობამ არ შეასრულა აღებული პასუხისმგებლობა, რადგან შენ არ იცნობ მათ ფიზიკურად და ასეთი წვრილმანები... მე მაინც მცირე დროში გავედი უდიდეს შედეგზე.

- ლიტერატურული საღამოები, რომლებშიც მონაწილეობთ...

- ცალკე აღებული ლიტერატურული ღონისძიებები, შესაძლოა, ხშირად არ გვქონდეს, მაგრამ თითქმის ყველა კულტურულ ღონისძიებას ვესწრები, მიუხედავად იმისა, ვმონაწილეობ თუ არა. ახლა ჩვენი ნიჭიერი შემოქმედი ლელა ქართველიშვილი აპროექტებს ლიტერატურული საღამოების გამართვას. სხვათა შორის, გუშინ ვისაუბრეთ ამ საკითხზე და, რაღა თქმა უნდა, სიხარულით ვუჭერ მხარს. რაც შემიძლია, ჩემს წვლილსაც შევიტან.

- თავისუფალი დრო და თქვენ... ანუ როგორ ისვენებთ?

- ჩემთვის დასვენება წერაა. თუ არ ვმუშაობ, ვწერ. თუ შესაძლებელია (რადგან ყველას ერთ დროს არ გვცალია ამისთვის), ვგეგმავთ ფიზიკურ ურთიერთობებს, რაც ესოდენ საჭიროა ყველა ადამიანისთვის.

- ქუჩები და პარკები... როგორია სტატისტიკური ამერიკელის დამოკიდებულება ბუნებისადმი, როგორ შეეწყვეთ აშშ-ის ბუნებას?

- სიტუაციურად, ყველანაირი შეიძლება ვნახოთ ქუჩები და პარკები - მოვლილი და გაწკრიალებული და ძალიან უსუფთაოც. მკვიდრი ამერიკელები ძალიან მოწესრიგებულები და მშვიდობიანები არიან, თუმცა ვიცით, რომ აქ დედამიწაზე არსებული ყველა ერი ცხოვრობს.

- ნოსტალგიის გრძნობა ხომ არ გიჩნდებათ და რას იგონებთ ყველაზე მეტად მშობლიური ადგილებიდან?

- არა. ჩემი სამშობლო ჩემს გულშია და სულ ერთად ვართ. ამიტომაც არ გვენატრება ერთმანეთი, თუმცა კი გვჭირდება. ერთი სული მაქვს, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში ვესტუმრო პოეზიის საღამოებს.

- ნატვრა, რომლის ახდენასაც ისურვებთ.

- ჩემი ბავშვობის ყველა ნატვრა ახდენილია. დღეს მათ უკვე გეგმას ვეძახი, ვიცი, რომ ხელი მომემართება, თუკი მიზანი და მოტივი სწორხაზოვნად გასდევს ღვთის მოსაწონ საქმეს.

- კითხვა, რომელიც არასოდეს დაუსვამთ თქვენთვის და გსურთ, დაგისვან.

- ასეთი შეკითხვის გახსენება გამიჭირდა. ყველაფერს თავისი დრო აქვს, აწი მკითხავენ.

- გაქვთ თქვენეული ლამაზი ფრაზები, რომლებითაც მოგმართავენ ხოლმე?

- მიყვარხარ გულში! ნიჭის ზეიმი ხარ! ძვირფასო ადამიანო! მაინც მიყვარხარ!

ტაქსის მძღოლი გოგონა, რომელიც პატარა რესტორნის გახსნაზე ოცნებობს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში ბათუმელი გოგონა, 28 წლის ლიკა თედორაძე საკუთარ გულისტკივილზე წერდა. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ტაქსის კომპანიაში სულ ახლახან დაიწყო მუშაობა. ერთ-ერთ გამოძახებაზე ორი მგზავრი აიყვანა - ქალბატონები, რომლებიც მთელი გზა იცინოდნენ. როდესაც იკითხა, რა იყო სასაცილო, პასუხი არ მიუღია, მაგრამ მგზავრობის დასრულების შემდეგ, მათგან ცუდი შეფასება მიიღო. ამისთვის კომპანიამ რამდენიმესაათიანი აკრძალვა დაუწესა. ლიკა იმ საღამოს შვილთან ხელცარიელი დაბრუნდა. ამაზე, ალბათ, იმ გოგონებს არ უფიქრიათ

ჩვენ ლიკას პიროვნებით დავინტერესდით. რაზე ოცნებობს, რატომ გადაწყვიტა ტაქსის კომპანიაში მუშაობა და, რაც მთავარია, ეს გადაწყვეტილება ოჯახმა და საზოგადოებამ როგორ მიიღო.

- ლიკა, მადლობა, რომ ინტერვიუზე დაგვთანხმდით. უპირველესად, გაეცანით მკითხველს. რატომ გადაწყვიტეთ ტაქსის კომპანიაში მუშაობა?

- დავიბადე ქალაქ ბათუმში, დავამთავრე მე-7 საჯარო სკოლა. უმაღლესი განათლება არ მაქვს, ახლა ვსწავლობ 1-წლიან კურსზე, შეფმზარეულის პროფესიაზე. ტაქსის კომპანიაში მუშაობა იმ დღიდან გადავწყვიტე, რაც ჩემს გოგონას, დამატებით, ვარჯიშები დასჭირდა. ვოცნებობ, 1 წლის შემდეგ, სწავლას როცა დავასრულებ, პატარა, მყუდრო რესტორანი გავხსნა, სადაც კლიენტებს ჩემ მიერ მომზადებულ ქართულ კერძებს შევთავაზებ. რადგან ამისთვის თანხის მოგროვება ძალიან რთულია, რამდენიმე ადგილზე მუშაობა გადავწყვიტე.

- როგორ შეხვდა ოჯახი თქვენს გადაწყვეტილებას?

- ოჯახის წევრებმა გადაწყვეტილება მომიწონეს, განსაკუთრებით - დედამ, რადგან ძალიან უყვარს ჩემი ბრძოლისუნარიანი ხასიათი. საზოგადოებას რაც შეეხება, არიან ისეთები, ვისაც ჩემი მძღოლად დანახვა ძალიან უკვირს, ბევრი მადლობას მიხდის, ახალგაზრდა გოგო უკეთესი მომავლისთვის რომ ვშრომობ. ერთადერთი უსიამოვნო ფაქტი შემხვდა იმ გოგონებთან, რაც სოციალურ ქსელში დავწერე. ჯერჯერობით, სხვა შემთხვევა არ მქონია. ვცდილობ, ყველას ისე მოვექცე, რომ მათი პატივისცემა დავიმსახურო. ეს ხასიათშიც მაქვს, მაინტერესებს საზოგადოების აზრი და ვცდილობ, კარგი და მისაღები ვიყო. სამწუხაროდ, არიან ადამიანები, შრომის ფასი რომ არ იციან, არ იციან, რას ნიშნავს, იბრძოლო ცხოვრებაში მიზნების მისაღწევად, ოცნებების ასახდენად. იმის მიუხედავად, რომ გოგონების საქციელი ძალიან განვიცადე, მაინც მადლობელი ვარ მათი, რადგან ამდენი კარგი ადამიანი გავიცანი, დავიმეგობრე, ჩემ მიმართ დიდ სითბოს გამოხატავენ.

- რამდენ საათს მუშაობთ და ღამით მოძრაობის ხომ არ გეშინიათ?

- სახლიდან დილით ადრე გამოვდივარ და ღამის პირველ საათზე ვბრუნდები. ვცდილობ, დრო ტყუილად არ დავკარგო, ვიშრომო და ნაკლებად გავერთო. ღამით მუშაობაც მხოლოდ იმიტომ გადავწყვიტე, რომ მეტი გამოვიმუშაო. შიშს რაც შეეხება, ნამდვილად არ მეშინია, საკმაოდ ძლიერი ვარ, ისე, ზოგადად, მგონი, არაფერი მაშინებს.

- როგორ ფიქრობთ, ამ დაუღალავი შრომით მიაღწევთ დასახულ მიზანს?

- არ ვიცი, თუმცა იმას მაინც ვიტყვი, რომ ვცადე და გული არ მეტკინება, რომ შემეძლო და არ გავაკეთე. ვფიქრობ, ადამიანს შრომა აუცილებლად დაუფასდება. მეც ამ იმედით ვარ. ჯიუტად ვცდილობ, ცხოვრებას მოვუგო. თუ დავეცემი, ისევ წამოვდგები და ბრძოლას გავაგრძელებ.

- წარმატებებს გისურვებთ, ლიკა!

ერთად ავაშენოთ „ბრილი-არტი“ მაღალმთიან აჭარაში

ნანა აბულაძე 577 20 35 90

გაზეთ „აჭარის“ სტუმარი კერამიკის დიზაინერი, არტ-სტუდიისა და სოციალური საწარმო „ანდამატის“, ასევე „ბრილი-არტის“ დამფუძნებელი, აჭარის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი და ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი, არაერთი ჯილდოს მფლობელი ლია კასპელაშვილია, რომელიც წლების წინ ბედისწერამ ბათუმს დააკავშირა და მას შემდეგ რეგიონში ხელოვნების განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს

სწორედ მის სახელს უკავშირდება ბათუმში კერამიკისადმი ცნობადობის ამაღლება და მომავალი თაობების ამ მიმართულებით დაინტერესება. მისი ორგანიზებით ტარდება საერთაშორისო ფესტივალი „კერამიკის ალქიმია“, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში კულტურული ტურიზმის განვითარებას. თვლის, რომ იყო ხელოვანი, ნიშნავს, გამოხატო შენი შინაგანი სამყარო და ხედვა, გახდე შეუჩერებელი პროცესის ნაწილი, სადაც ყოველთვის ეძებ ახალს და ცდილობ, საკუთარ ნიჭსა და უნარებს შენეული, ინდივიდუალური ფორმით გამოხატვის საშუალება მისცე. დედაქალაქიდან ბათუმში გადმოსულმა აღმოაჩინა, რომ რეგიონში კერამიკის სფერო თითქმის არ არსებობდა, სწორედ ამან უბიძგა, რომ საკუთარი გზა ეპოვა. ასე დაარსა არტ-სტუდია „ანდამატი“. მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამების შექმნით, კერამიკის სკოლის გახსნით, მოახერხა კერამიკის სწავლების პოპულარიზაცია და განვითარება. ამბობს, რომ სოციალური საწარმო „ანდამატი“ გახდა მისი მთავარი შემოქმედებითი პლატფორმა, რომელიც რეგიონში კერამიკის კულტურის აღორძინებას ემსახურება. მეუღლე ტარიელ ტაბაღუასთან ერთად, რომელიც ასევე კერამიკის დიზაინერია, არაერთ პროექტს ქმნის. წარმატებით აგრძელებს კერამიკის ტრადიციას მისი ვაჟი ბექა ტაბაღუა, რომელიც კერამიკის არტისტია. მისი მეორე ვაჟი ნიკა ტაბაღუა მომავალი არქიტექტორია, თუმცა კერამიკა მისთვისაც ძალიან მშობლიურია. შეიძლება ითქვას, მთელი ოჯახი ერთიანი ძალებით უმკლავდება კონკრეტულ შეკვეთებსა თუ ცხოვრებისეულ გამოწვევებს.

- ჩვენი ჰარმონიული თანამშრომლობა და ურთიერთპატივისცემა არის ის, რაც ჩვენს შემოქმედებით და პირად ცხოვრებას აერთიანებს. ჩემი ოჯახი ერთი ძლიერი გუნდია, საერთო ღირებულებებით და პრინციპებით. მთავარი ღირებულებებია რწმენა, ჯანმრთელობა და ერთმანეთის მხარდაჭერა, რაც გვაძლევს ძალას ყველაფერში. ამ ერთიანობით ვგრძნობ, რომ ბედნიერი და მადლიერი ვარ ცხოვრების, რომ შემდგარი ქალი ვარ როგორც პროფესიონალი და როგორც დედა. როგორც „ანდამატისა“ და „ბრილი-არტის“ დამფუძნებელი, ვცდილობ, ჩვენი სტუდიები ხელოვნების მძლავრ ინსტრუმენტად ვაქციო, რომელიც არა მხოლოდ კრეატიულ უნარებს ავითარებს, არამედ სიღრმისეულად მოქმედებს პიროვნულ განვითარებაზე. ჩვენთან ბავშვები და მოზარდები სწავლობენ კერამიკას, ხატვასა და სხვადასხვა სახის ხელოვნებას, სადაც თითოეულ ნაბიჯს თან ახლავს პრაქტიკული და შემოქმედებითი პროცესები, სადაც თითოეული მონაწილე ინდივიდუალური ხედვისა და გრძნობების გამოხატვას სწავლობს. ისინი იღებენ ცოდნას, რომელიც აერთიანებს როგორც ტრადიციას, ისე თანამედროვე მიდგომებს. ჩემთვის მთავარი მხოლოდ პროფესიული განათლება არ არის, ჩვენი სივრცეები განსაკუთრებულია იმით, რომ ბავშვებს აქ ვასწავლით ურთიერთობას, თანაგრძნობას და თანადგომას. ისინი სწავლობენ, როგორ გახდნენ უკეთესი ადამიანები, როგორ გამოიჩინონ გულისხმიერება და როგორ გაუმკლავდნენ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით თითოეულ ცხოვრებისეულ გამოწვევას. ჩვენი მიზანია, ბავშვები მხოლოდ ტექნიკურ უნარებს კი არ დაეუფლონ, არამედ სწორად ჩამოყალიბებული ღირებულებებით დაიწყონ ცხოვრება და ურთიერთობა. ამგვარად, პროფესიულ განათლებას ფასეულობა მხოლოდ მაშინ აქვს, როცა ვხედავ, რომ ისინი ცხოვრების გზაზე მყარად დგანან და მზად არიან, შემოქმედებითად მოეკიდონ როგორც საკუთარ მომავალს, ისე საზოგადოებას. დღეს, ახალგაზრდები, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიების ერაში, ბევრ ინფორმაციას იღებენ, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს სწრაფი და ზედაპირულია. ხელოვნება კი სიღრმისეულია, გულისხმობს ფიქრს, აღქმას და ამდიდრებს შინაგან სამყაროს. ჩემი გამოცდილებით, მოზარდები ბუნებრივად ინტერესდებიან ხელოვნებით, როცა მას სწორად და ინტერაქტიულად წარვუდგენთ თამაშის, ექსპერიმენტებისა და შემოქმედებითი თავისუფლების საშუალებით. იმისთვის, რომ ბავშვებსა და მოზარდებში ხელოვნების სიყვარული გავაღვივოთ, აუცილებელია შემოქმედებითი გარემოს შექმნა, სადაც ისინი შეძლებენ იდეების თავისუფლად გამოხატვას. უნდა მოვახერხოთ, რომ თითოეული აქტივობა მათთვის იყოს საინტერესო და სახალისო, იქნება ეს კერამიკული მუშაობა, ფერწერა თუ სხვა სახის ხელოვნება. ბავშვები, რომლებსაც პატარაობიდანვე ხელოვნებასთან უშუალო შეხება აქვთ, იმდიდრებენ წარმოსახვას და სწავლობენ სამყაროს სხვა კუთხით აღქმას. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია, სკოლებსა და სამხატვრო აქტივობებში უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული თანამედროვე მიდგომები და ბავშვები უშუალოდ ჩართულნი იყვნენ ხელოვნების პროცესში. აუცილებელია, მათ მიეცეთ შესაძლებლობა, შეეხონ ხელოვნებას, განიცადონ იგი და თვითონაც გახდნენ შემოქმედები. მოკლედ, ხელოვნებასთან და კულტურასთან ბავშვების და ახალგაზრდების მიახლოება უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ გამოცდილებას, პერსონალური ჩართულობის შესაძლებლობას და წახალისების სისტემას, - აღნიშნა ლია კასპელაშვილმა.

ხელოვანმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა, თქვა, რომ გეგმავს „ბრილი-არტის“ სახელოსნოსა და მისი პროგრამების გაფართოებას, რადგან მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია უფრო ფართო საზოგადოებისთვის იყოს ხელმისაწვდომი მათი კერამიკული ტრადიციები და ინოვაციური პროგრამები. ამ ეტაპზე განსაკუთრებით კონცენტრირებულია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილში სოციალური საწარმო „ბრილი-არტის“ განვითარებით, რომლისთვისაც ერთდროულად ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა და ორბელიანი-მეტის მიერ გამოცხადებულ ორ საერთაშორისო საგრანტო პროექტს. ამისთვის, 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ახორციელებს კამპანიას: „ერთად ავაშენოთ „ბრილი-არტი“ მაღალმთიან აჭარაში!“.

იდეის აქტუალობასა და მიზნობრიობას თავად ასე ხსნის:

- მაღალმთიანი აჭარის მრავალფეროვანი ბუნება, მთის ჰაერი, ისტორიულ-კულტურული ძეგლები, ტრადიციული სამზარეულო და მოსახლეობის სტუმართმოყვარეობა უნიკალურ პირობებს ქმნის კულტურული და აგროტურიზმის განვითარებისთვის. მიუხედავად ამისა, სოფელი ბრილი მოსახლეობისაგან მაინც იცლება: თოთხმეტი წლის წინ სოფელში 100 ბავშვი სწავლობდა, წელს კი მხოლოდ 21 მოსწავლეა შემორჩენილი. ადგილობრივები დღეს თავს ირჩენენ მესაქონლეობით და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებით, მაგრამ ტურიზმის ნაკლებობის გამო, ფინანსური შემოსავლები მწირია, რაც განაპირობებს მიგრაციას სოფლიდან. ბრილი ფლობს უნიკალურ ბუნებრივ რესურსს თიხის საბადოს სახით. მას მოსახლეობა მხოლოდ ტალახად აღიქვამდა, სანამ ჩემი კერამიკული აქტივობებით არ დავუმტკიცე, რომ სწორედ ამ თიხის გარდაქმნაა შესაძლებელი ძვირფას, შემოსავლიან პროდუქტად. ჩვენი პროექტი გულისხმობს სოფლად, ზედ თიხის კარიერზე, ჩვენივე ძალებით აშენებული, შავი კარკასის მდგომარეობაში მყოფი სახელოსნოს მოწყობას, სადაც შეიქმნება მულტიფუნქციური სივრცე. „ბრილი-არტში“ თიხის გამოყენებით ჩავატარებთ საგანმანათლებლო პროგრამებს, მასტერკლასებს და საერთაშორისო სიმპოზიუმებს. ეს ხელს შეუწყობს ბრილის მოსახლეობის, კერძოდ, ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებას, მათ ჩართვას ეკონომიკურ საქმიანობასა და კერამიკის, როგორც ტრადიციული რეწვის პოპულარიზაციაში. ამგვარად, „ბრილი-არტის“ სწორი და თანმიმდევრული სტრატეგიით, ურთიერთპატივისცემით, პირადი მაგალითით, კულტურული და ეკონომიკური პერსპექტივის შექმნით, მოსახლეობას განვუმტკიცებთ სოფლად ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობისადმი რწმენას. გვწამს, თითოეულ ადამიანს ექნება შანსი, დარჩეს, განვითარდეს და ჩადოს თავისი პოტენციალი მშობლიურ სოფელში, რეგიონში, - აღნიშნა ლია კასპელაშვილმა.

გაზეთი „აჭარა“ ამ ძალიან მნიშვნელოვან წამოწყებაში წარმატებებს უსურვებს ქალბატონ ლიას. დავუდგეთ გვერდით და ერთად ავაშენოთ „ბრილი-არტი“ მაღალმთიან აჭარაში.

თავბრუდამხვევი შთაბეჭდილებებით დატვირთული ცხრა დღე – ბრიტანეთში და თოჯინა, რომელიც ჯონ ჰენშალს საკუთარ თავზე მეტად ჰგავს

მე-7 გვერდიდან

მესიამოვნა. ადრე, ერთ-ერთ გასართობ ტელეგადაცემასთან ვთანამშრომლობდი, იუმორისტულ შოუს ვქმნიდით თოჯინებით, „Spitting image“ - ასე ერქვა. ვაშარჟებდით გამოჩენილ ადამიანებს და ჩემი ორეულის შექმნა სცადა შემოქმედებითმა ჯგუფმა, მაგრამ მხოლოდ ჩემი ტანსაცმელი შეიძლებოდა მეცნო იმ მოდელში, ამ თოჯინამ კი საჩუქრის გახსნისთანავე იმხელა ემოცია მომიტანა! სწორედ ისეთი რამაა, რასაც გენიალურს ვუწოდებ. ეს თოჯინა ჩემზე მეტად ჰგავს ჯონ ჰენშალს (იცინის) და რაც ჩამოვიდა, მას შემდეგ მოგზაურობს. 26 ოქტომბერს ლონდონში სატელევიზიო განათებისა და დიზაინის კავშირის 50 წლის იუბილეზე ვიყავით მიწვეულნი, სადაც ქართველი ჯონ ჰენშალიც წავიყვანეთ. მარეხმა იქ პიარმენეჯმენტი, ფოტოგრაფია და ასისტენტობა შეითავსა. ახლა ავტობიოგრაფიულ წიგნზე ვმუშაობ, სადაც აუცილებლად დავწერ ამ თოჯინასა და მარეხზე. გამოცდილება, რომელიც დავაგროვე, მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ყოველთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდა პროფესიონალების ხელშეწყობა როგორც ფინანსური, ისე მორალური მხარდაჭერა. საერთაშორისო პროექტებს ეს მოაქვს - „ნეთვორქინგი“, კავშირები სწორ პლატფორმებზე. ვფიქრობ, შეიძლებოდა მეტიც გამეკეთებინა. არ ვიცი, თვითონ რა შთაბეჭდილებით ბრუნდება საქართველოში, მაგრამ მიხარია, რომ პროექტი შედგა. აქვე უნდა აღვნიშნო, რატომღაც წელს არ მიმიწვიეს კინოოპერატორთა ფესტივალზე - „ოქროს თვალი,“. ვიცი რომ ახლა ბათუმელი ხელმძღვანელები ჰყავს, ისიც გავიგე, რომ მომავალი წლისთვის აუცილებლად იქნება შემოთავაზება და მოვლენების განვითარებას დაველოდები. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, სავიზო პროცედურამ იმხელა დრო და ენერგია წაიღო, ბოლომდე არ ვარ კმაყოფილი ამ მოწვევის შედეგით. მინდა ვიზის ვადის გასვლამდე მარეხი კიდევ მოვიწვიო. აქ უკვე ორმხრივი მზაობაა საჭირო, ვიცი, რომ ძალიან დაკავებულია. საქართველო ძალიან მიყვარს, ეს ნამდვილად ფესტივალის ძველი ორგანიზატორების დამსახურებაა. ძალიან კარგი ჯგუფი იყო ზურა გეგენავას ხელმძღვანელობით. წელს ფესტივალზე თუ ვერ ჩამოვედი, სამაგიეროდ, მარეხს ვუმასპინძლე და ამით მოვახდინე კომპენსაცია. დარწმუნებული ვარ, ფესტივალის ახალ ორგანიზატორებთანაც საინტერესო იქნება თანამშრომლობა და მინდა მათ წარმატება ვუსურვო. ჩემი დაკვირვებით, ბრიტანელებს და ქართველებს ერთნაირი იუმორის გრძნობა გვაქვს, რაც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს ძალიან გვიადვილებს ურთიერთობას, - გვითხრა ჯონ ჰენშალმა.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 31/10/24, 18 ⁴⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ნიჟარა“ – ახალი კონკურს-ფესტივალი

ბათუმის ხელოვნების ცენტრში 3 დღეს მიმდინარეობდა ბათუმის მუსიკალური ცენტრის კლასიკური მუსიკის შემსრულებელთა კონკურს-ფესტივალი „ნიჟარა“, რომელიც ბათუმის მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელ ზვიად ბოლქვაძის ინიციატივით წელს დაარსდა

როგორც გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიაზე წამყვანებმა ხათუნა ჩხარტიშვილმა და აჩიკო გოგიტიძემ აღნიშნეს, ამ კონკურს-ფესტივალის სახით, ჩვენს ქალაქში საფორტეპიანო, საორკესტრო, ვოკალური და საგუნდო მუსიკის ახალგაზრდა შემსრულებლების მხარდასაჭერად კიდევ ერთი ახალი შესაძლებლობა გაჩნდა. ეს ასევე ძალიან კარგია რეგიონში საორკესტრო ინსტრუმენტებზე დაკვრის პოპულარიზაციისთვის, ახალგაზრდა ტალანტების გამოსავლენად, მათ ხელშესაწყობად და წასახალისებლად, პროფესიული დონის და საშემსრულებლო ოსტატობის ხარისხის ასამაღლებლად. მათ მადლობა გადაუხადეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, პირადად მინისტრ მაია ხაჯიშვილს, მის მოადგილე აკაკი ძნელაძეს, მადლობა გადაუხადეს ყველას, ვინც კონკურს-ფესტივალში სხვადასხვა ფორმით იყო ჩართული.

გამარჯვებულები კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლები, მათ შორის, ნინო ბაქრაძე, ნუცა ჭირაქაძე, ლალი სანიკიძე, გიორგი ხაინდრავა, ირაკლი ჯაფარიძე, მერი ყვანია, ელდარ გეწაძე, თეიმურაზ გუგუშვილი, ნინო წიკლაური, შიო აბრახამია და სხვები, სხვადასხვა კატეგორიაში გამოავლინა.

დაჯილდოვდნენ როგორც ინდივიდუალური შემსრულებლები, ისე გუნდების ხელმძღვანელები, რომელთა შორის დასახელდნენ ქორმაისტერები ნატალია ვადაჭკორია, მაგდანა მათითაიშვილი, გელა ვადაჭკორია, რუსუდან ბერიძე და ქეთევან მანელიშვილი.

- მოხარული ვარ, რომ ამ შესანიშნავ პროექტში ვმონაწილეობ. იმდენი კარგი, ნიჭიერი ახალგაზრდა გავიცანი, ჩემზე დამოკიდებული რომ ყოფილიყო, ყველას გრან პრის მივცემდი, მაგრამ კონკურსი კონკურსია, მასში მონაწილეობა კი უკვე გამარჯვებაა. სასიხარულოა, რომ ჟიურიში იყვნენ სახელოვანი მომღერლები, მათ შორის, ელდარ გეწაძე და თემურ გუგუშვილი. ვუსურვებ ამ კონკურს-ფესტივალს დიდ წარმატებას და ახალ-ახალი ვარსკვლავების აღმოჩენას. აქ ყოფნით ვხარობ, რადგანაც ბათუმელი ვარ, აქ დავამთავრე მურმან მახარაძის კლასი და მასთან ურთიერთობა არასოდეს შემიწყვეტია, - გვითხრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალის პედაგოგმა დოდო დიასამიძემ.

- ეს კონკურს-ფესტივალი მაღალი დონისაა, მაღალკვალიფიციური ჟიურით. მისი მთავარი მიზანია, აჭარაში მუსიკალური მიმართულებით აღიზარდონ ის ადამიანები, რომლებიც მომავალში შეავსებენ ორკესტრს, კაპელას, საოპერო დასს, ანუ ადგილობრივი რესურსი გამოვიყენოთ, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ.

გამარჯვებულთა დაჯილდოების შემდეგ, მათივე მონაწილეობით, საზეიმო გალა კონცერტი გაიმართა.

„სიყვარულის ნექტარი“ – სტუდენტების მონაწილეობით

ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტისა და ბუდაპეშტის ლისტის მუსიკის აკადემიის სტუდენტების მონაწილეობით ერთობლივი სპექტაკლის - გაეტანო დონიცეტის ოპერის „სიყვარულის ნექტარი“ პრემიერა გაიმართა. ეს ბუდაპეშტის მუსიკის აკადემიასთან პირველი თანამშრომლობა გახლდათ, რომლის პროექტის ხელმძღვანელი მუსიკისმცოდნე ხათუნა მანაგაძე იყო

სპეციალისტების შეფასებით, სტუდენტებმა საკმაოდ რთულ მუსიკალურ პროგრამას თავი კარგად გაართვეს, მთავარი პარტიების შემსრულებლებმა კი აღნიშნეს, რომ ასეთი პროექტები მათ პროფესიულ ზრდაში ეხმარებათ.

როგორც სპექტალის დაწყების წინ აღინიშნა, დადგმა გარკვეული მიზეზების გამო ვერ დაფინანსდა, თუმცა მოიძებნა პარტნიორები, რომლებიც მათ გვერდით დაუდგნენ. ხათუნა მანაგაძემ თითოეულ მხარდამჭერს, პროექტის ორგანიზატორების სახელით, მადლობის ბარათები გადასცა.

სპექტაკლი გულთბილად მიიღო დარბაზში მრავლად მოსულმა მაყურებელმა. მისი დასრულების შემდეგ, როგორც მონაწილეებმა, ისე მსმენელებმა შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს.

ელდარ გეწაძე, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი:

- ჩემი შემოქმედება 1971 წელს ამ სპექტაკლით დავიწყე და დიდ ასპარეზზე გავედი. ოპერა „სიყვარულის ნექტარის“ მუსიკა შესანიშნავია, ბავშვები არაჩვეულებრივად მღერიან. გილოცავთ, ნამდვილი ახალგაზრდული, სასიამოვნოდ მოსასმენი და სანახავი სპექტაკლი იყო. წარმატებას ვუსურვებ თითოეულ მათგანს.

თეიმურაზ გუგუშვილი, რუსთაველისა და ფალიაშვილის პრემიების ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი, კონსერვატორიის პროფესორი:

- „სიყვარულის ნექტარი“ ერთ-ერთი ურთულესი სპექტაკლია ტექნიკური შესრულების კუთხით. განსაკუთრებით გამოირჩევა ამ სპექტაკლში ნემორინოს პარტიის შემსრულებელი ირაკლი ჯინჭარაძე - შესრულების უშუალო მანერით, ხმის დიაპაზონით, თუმცა აღსანიშნავია ყველა მონაწილე. შესანიშნავი ხმა აქვს ბელკორეს პარტიის შემსრულებელ გიორგი გორჯელაძეს. ახალგაზრდებმა მშვენიერი სპექტაკლი შემოგვთავაზეს, რთულ პარტიებს თავი ყველამ კარგად გაართვა.

ირაკლი ჯინჭარაძე, სოლისტი:

- დღევანდელი გამოსვლით ძალიან კმაყოფილი ვარ, ვიმედოვნებ, მომავალში კიდევ უკეთ ვიმღერებ.

ზაირა ვადაჭკორია, დამსახურებული ქორმაისტერი:

- არაჩვეულებრივი საღამო იყო. ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენს პატარა ქალაქში არსებობს სტუდენტთა ისეთი ჯგუფი, რომელიც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მსმენელს. დღევანდელი საღამო ზუსტად ამის დასტური გახლდათ.

შიო აბრახამია, მუსიკისმცოდნე:

- შთაბეჭდილებებით სავსე ვარ. პროექტი აღსანიშნავია იმ თვალსაზრისით, რომ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, მცირე ასაკიდან მაღალ ხელოვნებას შეეჭიდონ. ეს არის ერთგვარი ტრამპლინი და ეჭვიც არ მეპარება, რომ ისინი თანდათან მაღალ მწვერვალებს დაიპყრობენ. ტემბრით, გამომსახველობით გამოირჩეოდნენ მთავარი როლის შემსრულებლები, გამოჩნდა გუნდის მომზადების მაღალი დონე. ეს იყო ძალიან კარგი კოლაბორაცია. არაჩვეულებრივი არტისტიზმით გამოირჩეოდა პიანისტი რუსუდან კვახაძე და მასთან ერთად ცალკეული ინსტრუმენტალისტი, რომლებსაც ძალიან ეფექტურად ხელმძღვანელობდა ლელა დოლიძე. მინდა მივულოცო ეს დღე ხათუნა მანაგაძეს და მასთან ერთად თამაზ ცერიაშვილს, ყველას, ვინც მონაწილეობდა და ვინც გვერდით ედგა. ძალიან მაღალი საშემსრულებლო დონე ვიხილეთ.

ოთარ ქათამაძე, რეჟისორი:

- სპექტაკლზე თითქმის ერთი თვე ვიმუშავეთ. ყველაფერი ადამიანების მხარში დგომით, ენთუზიაზმით, ამასთან, საქმისადმი სიყვარულით, მაყურებლის პატივისცემით გავაკეთეთ, იმის გამოც, რომ ეს ფესტივალი ყველას უყვარს. თანამოაზრეები შევიკრიბეთ და შევქმენით პროექტი, რომელზეც ოცი დღის განმავლობაში ფორსმაჟორში ვიმუშავეთ. თუ არის ენთუზიაზმი და სიყვარული, ყველაფერი გამოვა.

დიანა ფალავანდიშვილი, მთავარი როლის შემსრულებელი:

- დღევანდელმა სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. მოხარულები ვართ, რომ ასეთი პროექტები ხორციელდება და განვითარებისა და წინსვლის, ჩვენი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება გვეძლევა. მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებს და თითოეულ მონაწილეს - ასეთი პროექტები კარიერულ წინსვლასა და განვითარებაში გვეხმარება. ადინას პარტია პირველად შევასრულე, საკმაოდ რთული იყო ჩემთვის, როგორც დამწყები მომღერლისთვის და მიხარია, რომ თავი გავართვი. მსმენელმა კარგად მიგვიღო.

თამაზ ცერიაშვილი, დამდგმელი დირიჟორი:

- წელს სპექტაკლში ორი უნგრელი სტუდენტი მონაწილეობდა, დანარჩენი ჩვენი აღსაზრდელებია. ცოტა შემჭიდროებული გამოვიტანეთ, როიალის თანხლებით, თუმცა ეს ევროპაში მიღებული ფორმაა, მთავარია, რომ ასეთი პროექტებით, სპექტაკლებით სტუდენტები იზრდებიან, რაც მისასალმებელია.

სპექტაკლში არაჩვეულებრივი იყო გუნდი (ქორმაისტერი - ლელა დოლიძე), რომელშიც ერთობლივად მღეროდნენ ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტები და მოწვეული მამაკაცი მომღერლები ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელიდან.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა